

ფინანსური
განათლება
მარტივად

საქართველოს ეროვნული ბანკი
დეკემბერი 2019 წ.

სახელმძღვანელოს შესახებ

სახელმძღვანელო „ფინანსური განათლება მარტივად“ შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და მოიცავს ფინანსური განათლების შესახებ იმ ძირითად საკითხებს, რომელთა გაცნობაც სასარგებლო იქნება როგორც მოზარდების, ასევე ზრდასრული მოსახლეობისთვის.

ფინანსური განათლება თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი საბაზისო ცხოვრებისეული უნარია და გულისხმობს პირადი ფინანსების მართვისათვის საჭირო ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულების ერთობლიობას, რომლებიც მას ეხმარება არსებული გარემოს, რისკებისა და შესაძლებლობების სწორად შეფასებაში, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებაში, რაც, საბოლოო ჯამში, ფინანსური კეთილდღეობის მთავარი წინაპირობაა.

ცხოვრების მანძილზე ადამიანებს უამრავი ფინანსური გადაწყვეტილების მიღება უწევთ, რომელთა დიდი ნაწილიც ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილება შესაძლოა მასშტაბური იყოს, როგორცაა, მაგალითად, ბინის შეძენა, თანხის დაბანდება, ან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოც, როგორცაა, მაგალითად, ყოველთვიური კომუნალური გადასახადების გადახდა, ავტომობილის დაზღვევა. თუმცა, დღევანდელ რეალობაში ფინანსური პროდუქტები და ინსტრუმენტები ხშირად იმდენად კომპლექსურია, რომ გადაწყვეტილების მიღება არც თუ ისე მარტივია.

სახელმძღვანელოში მოკლედ და თემატურად წარმოდგენილია ინფორმაცია ძირითადი ფინანსური პროდუქტების, ასევე, გონივრული დაზოგვისა და სესხების, საკუთარი უფლებების დაცვის, მალალრისკიანი ფინანსური სქემებისა და ფინანსური პირამიდების და სხვა საინტერესო და პრაქტიკული საკითხების შესახებ.

ფინანსური განათლება ფინანსური კეთილდღეობისთვის!

ს ა რ ჩ ე ვ ი

დაზოგვა და დეპოზიტები-----	გვ. 3
დაზღვევა-----	გვ. 9
თალღითური სქემები და ფინანსური უსაფრთხოება-----	გვ. 15
მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები-----	გვ. 25
პირადი ბიუჯეტი-----	გვ. 37
სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები-----	გვ.47
სესხება და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები --	გვ. 51
ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა -----	გვ. 57
ფინანსური სისტემა და ფინანსური შუამავლები -----	გვ. 63
ფული და ვალუტა-----	გვ. 71

დაზოგვა და დეკოზიტიბი



საქსრთველს ვროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

რა არის დაზოგვა?

დაზოგვა - ეს არის რაიმე მიზნისთვის ფულის სამომავლოდ გადადება, ანუ შენახვა. დაზოგვა ფინანსური მიზნების მიღწევის და ფინანსური კეთილდღეობის შექმნის წინაპირობაა. მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, ყოველთვის უნდა ეცადოთ მისი გარკვეული ნაწილი გადადოთ, რათა დაზოგვა დროთა განმავლობაში ჩვევად იქცეს.

ექსპერტები გვირჩევენ: მას შემდეგ, რაც მიიღებთ შემოსავალს და გადადებთ თანხას ყველა აუცილებელი ხარჯებისათვის (მათ შორის, მაგალითად, კომუნალური გადასახადებისთვის), აუცილებლად უნდა გადადოთ შემოსავლის გარკვეული ნაწილი დანაზოგვის სახით და მხოლოდ ამის შემდეგ დახარჯოთ ფული თქვენი სურვილების დასაკმაყოფილებლად. კარგი იქნება, თუ თქვენი ყოველთვიური შემოსავლის 10-20%-ს მაინც დაზოგავთ, დაზოგვაში კი კონკრეტული მიზნების დასახვა დაგეხმარებათ. ამასთან, წინასწარ უნდა განსაზღვროთ, თუ რა თანხის შეგროვება გსურთ და დაახლოებით რა დრო დაგჭირდებათ ამისთვის.

ფინანსური მიზნები

ფინანსური მიზანი მრავალნაირი შეიძლება იყოს: რაიმე ნივთის შეძენა, განათლების დაფინანსება, გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის (როგორცაა, დაზიანებული ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება) დანაზოგვის შექმნა, და ა.შ.

ფინანსური მიზანი შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა რამდენიმე კვირაში ან თვეშია შესაძლებელი, და ისინი დიდ ფინანსურ ხარჯთან არ არის დაკავშირებული. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს მაგალითად, ახალი წიგნის ან ველოსიპედის შეძენა. გრძელვადიანი ფინანსური მიზნების მიღწევა კი შედარებით დიდ დროს და დანახარჯს მოითხოვს.

ასეთი მიზანი შეიძლება იყოს, მაგალითად საზღვარგარეთ მოგზაურობა ან ბინის შეძენა.

მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული თანხის შესაგროვებლად საჭირო დრო რეალურად შეაფასოთ. ამასთან, აუცილებლად უნდა იზრუნოთ იმაზეც, რომ დაზოგილი თანხა უსაფრთხოდ შეინახოთ.

საბანკო დეპოზიტების შესახებ

თანხის დაზოგვის მიზნით შეგიძლიათ **საბანკო დეპოზიტით**, იგივე **ანაბრით** ისარგებლოთ.

დეპოზიტი კომერციულ ბანკში ფიზიკური პირის ან კომპანიის მიერ გარკვეული დროით განთავსებული თანხაა. დეპოზიტზე განთავსებულ სახსრებს ბანკი გარკვეული პერიოდულობით არიცხავს დამატებით თანხას, რომელსაც საპროცენტო სარგებელი ეწოდება. დეპოზიტზე სარგებელი შეიძლება დაირიცხოს პროცენტის დარიცხვის მარტივი ან რთული მეთოდის გამოყენებით.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: თუ დეპოზიტზე განათავსებთ 100 ლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 10%-ია, ეს ნიშნავს, რომ თქვენ საწყის, ანუ ძირითად თანხას - 100 ლარს - წელიწადში ერთხელ დაემატება 100 ლარის 10%, ანუ 10 ლარი. შედეგად 1 წლიანი დეპოზიტით სარგებლობის შემთხვევაში თქვენი დანაზოგი ჯამში 110 ლარი გახდება, 2 წლიანის შემთხვევაში - 120 ლარი, 3 წლიანის შემთხვევაში - 130 ლარი და ა.შ. პროცენტის დარიცხვის ასეთ მეთოდს მარტივი ეწოდება; **„მარტივი“**

პროცენტი მხოლოდ დეპოზიტის ძირითადი თანხიდან (ჩვენს მაგალითში, 100 ლარიდან) დაიანგარიშება.

„მარტივი“ პროცენტისგან განსხვავებით, **„რთული“ პროცენტი** ერიცხება როგორც დეპოზიტის ძირითად თანხას, ასევე ძირითად თანხაზე უკვე დარიცხულ საპროცენტო სარგებელსაც. აქვე უნდა გახსოვდეთ, რომ პროცენტის დარიცხვა წელიწადში ერთხელ ხდება. განვიხილოთ ისევ ზემოთ მოყვანილი მაგალითი, მაგრამ ამჯერად გამოვიყენოთ პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდი: პირველ წელს დარიცხული საპროცენტო სარგებელი ისევ 100 ლარის 10%, ანუ 10 ლარი, ხოლო თქვენი დანაზოგი 1 წლის შემდეგ ისევ 110 ლარი იქნება; თუმცა, მეორე წელს პროცენტი უკვე 110 ლარს დაემატება და ის 110 ლარის 10%, ანუ 11 ლარი იქნება. შესაბამისად, თქვენი დეპოზიტის მთლიანი თანხა მეორე წლის ბოლოს 121 ლარი გახდება, „მარტივი“ პროცენტით მიღებული 120 ლარის ნაცვლად. მესამე წელს, 10%-ის დაანგარიშება უკვე 121 ლარიდან მოხდება, და ა.შ.

ამრიგად, პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდით მიღებული სარგებელი უფრო მაღალია, ვიდრე მარტივი მეთოდით მიღებული სარგებელი.

შესაბამისად, ცხადია, დეპობიტი, რომელსაც ერიცხება „რთული“ პროცენტი, უფრო მომგებიანია გრძელვადიან პერიოდში, ვიდრე დეპობიტი, რომელსაც „მარტივი“ პროცენტი ერიცხება.

როგორი ტიპის დეპობიტები არსებობს?

დეპობიტი შეიძლება იყოს როგორც ვადიანი, ისე უვადო. შეგვიძლია გამოვყოთ დეპობიტის რამდენიმე ტიპი: ვადიანი დეპობიტი, ზრდადი ვადიანი დეპობიტი, საბავშვო დეპობიტი და შემნახველი/მოთხოვნამდე დეპობიტი. განვიხილოთ თითოეული მათგანი: ვადიანი დეპობიტი იხსნება კონკრეტული ვადით (მაგ., 12 თვით) და ამ ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებელს უბრუნდება როგორც თავდაპირველად შეტანილი, ანუ ძირითადი თანხა, ისე მასზე დარიცხული სარგებელი. ჩვეულებრივ, მომხმარებელს დეპობიტზე საპროცენტო სარგებელი ვადის ბოლოს ან ყოველთვიურად ერიცხება - იმის მიხედვით, თუ რას ითვალისწინებს ხელშეკრულება. თუ მომხმარებელი ვადიანი დეპობიტიდან თანხას ვადაზე ადრე გაიტანს, ეს ჩაითვლება დეპობიტის ხელშეკრულების პირობის დარღვევად და მას უფრო მცირე საპროცენტო

სარგებელი დაერიცხება, ვიდრე თანხის ვადის ბოლოს გატანისას დაერიცხებოდა (ან შეიძლება საერთოდ არ დაერიცხოს სარგებელი).

ზრდადი (ვადიანი)

დეპობიტი - ზრდადი დეპობიტიც ვადიანი დეპობიტის სახეობაა და ისიც კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული ვადით იხსნება, თუმცა, სტანდარტული ვადიანი დეპობიტისაგან განსხვავებით, მასზე პერიოდულად შესაძლებელია თანხის დამატებაც. ზრდადი დეპობიტის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ ის საშუალებას აძლევს მომხმარებელს დააგროვოს და ყოველთვიურად გაზარდოს საკუთარი დანაზოგი. თუმცა, როგორც წესი, მომხმარებელს ზრდად დეპობიტზე უფრო დაბალი სარგებელი ერიცხება, ვიდრე სტანდარტულ ვადიან დეპობიტზე.

საბავშვო დეპობიტიც

ვადიანი დეპობიტის სახეა და მასზე, ზრდადი დეპობიტის მსგავსად, შესაძლებელია პერიოდულად თანხის დამატება. საბავშვო ანაბარი, როგორც სახელწოდება მიუთითებს, ბავშვის სახელზე იხსნება და მოქმედია მისი სრულწოვანების ასაკამდე.

რაც შეეხება **მოთხოვნამდე, ანუ შემნახველ დეპობიტს** - ამ ტიპის დეპობიტი უვადოდ იხსნება და, როგორც

სახელი მიგვითითებს, შესაძლებელია თანხის ნებისმიერ დროს როგორც დამატება, ისე გამოტანა. ამ ტიპის დეპოზიტი დაზოგვის კარგი საშუალებაა მაშინ, როდესაც მომხმარებელმა წინასწარ არ იცის, თუ როდის დასჭირდება თანხა, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემნახველ დეპოზიტს აქვს შედარებით დაბალი საპროცენტო სარგებელი, ვიდრე სტანდარტულ ვადიან და ზრდად დეპოზიტებს.

როგორ დაზოგოთ ფული უსაფრთხოდ?

როგორც უკვე ვისაუბრეთ, სხვადასხვა მიზნისთვის თანხის დაზოგვა საბანკო დეპოზიტების საშუალებით შეგვიძლია. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან მოქმედებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ფიზიკური პირების ყველა ტიპის ანგარიშები და დეპოზიტები (მათ შორის, მიმდინარე, ვადიანი, მოთხოვნამდე) თითოეულ კომერციულ ბანკში ავტომატურად დაზღვეულია ჯამში 5 000 ლარამდე, რაც მომხმარებლების დანაზოგების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ფულის დაზოგვისას, აუცილებელია ფრთხილად შეარჩიოთ ის ორგანიზაცია,

რომელშიც თანხის შენახვას აპირებთ და შეეცადოთ მოიძიოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მისი ბიზნეს-საქმიანობის შესახებ. დაიმახსოვრეთ, რომ არაგონივრულად მაღალ დაპირებულ საპროცენტო სარგებელს, სხვა თანაბარ პირობებში, მაღალი რისკიც უკავშირდება!


ფინანსური უსაფრთხოების, მათ შორის, პირამიდული სქემების შესახებ ჩვენ შესაბამის ბროშურაში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. *


ფულის გარდა რისი დაზოგვა არის შესაძლებელი?

გაითვალისწინეთ, რომ დაზოგვა მხოლოდ ფულს არ უკავშირდება. თქვენ შეგიძლიათ დაზოგოთ სხვა მნიშვნელოვანი რესურსებიც, როგორცაა დრო, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი „აქტივია“ დღევანდელ სამყაროში - მაგ. შეეცადოთ ხვალისთვის არ გადადოთ დღეს გასაკეთებელი საქმე, ან ნაკლები დრო გაატაროთ სოციალურ ქსელებში; ელექტროენერჯია - გამორთოთ ელექტროხელსაწყოები მაშინ, როდესაც მათ არ იყენებთ და ისარგებლოთ

* 2020 წლის 1 ივლისიდან იგეგმება დაზღვეული თანხის ლიმიტის ზრდა

ენერგოეფექტური
ნათურებით; ასევე წყალი
- დაკეთოთ ონკანი, როცა
არ იყენებთ, და ასე შემდეგ.
ამ ნაბიჯების გადადგმით,
თქვენ არამხოლოდ
თავიდან აიცილებთ ზედმეტ
ხარჯებს, რაც, საბოლოო
ჯამში, ხელს შეგიწყობთ
მეტი თანხის დაზოგვაში,
არამედ გარემოსაც
გაუფრთხილდებით.





საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საერთაშორისო კონფიდენციალური საინჟინერო ფონდი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური და იურიდიული პირები არაერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ, რამაც შესაძლოა მათ ფინანსური ბარალი მიაყენოს. სწორედ ასეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან - რისკებთან გამკლავებაში ეხმარება მათ დაზღვევა.

დაზღვევა ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ბარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება. სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპი ასეთია: **მზღვეველი** (სადაზღვევო ორგანიზაცია) აზღვევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იმ რისკებისაგან, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ და მათ **სადაზღვევო პოლისსა და ხელშეკრულებას** გადასცემს, რომელშიც გაწერილია დაზღვევის პირობები.

დაზღვევის მისაღებად **დამზღვევი პირები** სადაზღვევო ორგანიზაციას წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით უხდიან **სადაზღვევო პრემიას**, ანუ ფულად შენატანს.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ანუ წინასწარ

განსაზღვრული რისკების ხდომილების შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეულ პირებს **ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად უნაზღაურებს ზიანს**. სადაზღვევო ლიმიტი კი წინასწარ განისაზღვრება და ეთითება სადაზღვევო პოლისში.

გაითვალისწინეთ, რომ ხარჯების ანაზღაურება არ ხდება ავტომატურად და საჭიროა დამზღვევმა პირმა მიმართოს სადაზღვევო ორგანიზაციას. სადაზღვევო პოლისი შეიძლება ითვალისწინებდეს **ფრანშიზას**. ფრანშიზა შეიძლება იყოს პირობითი ან უპირობო. შესაძლებელია პოლისი ითვალისწინებდეს ნულოვან ფრანშიზასაც. თავის მხრივ კი ფრანშიზა წარმოადგენს ზიანის იმ მინიმალურ ოდენობას, რომელსაც მზღვეველი არ აგინაზღაურებთ.

დაზღვევა შეიძლება იყოს **ნებაყოფლობითი** ან **სავალდებულო**.

სავალდებულო დაზღვევისგან განსხვავებით, რომელში ჩართულობის პირობებსაც, როგორც წესი, კანონი განსაზღვრავს, ნებაყოფლობით დაზღვევაში ჩართულობა თავისუფალია და დამოკიდებულია დამზღვევი პირის სურვილზე.

შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულებაც მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე ფორმდება. გამოყოფენ დაზღვევის სამ ძირითად მიმართულებას: **პირადი, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

პირადი დაზღვევა

პირადი დაზღვევის ძირითადი სახეებია **ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევა.**

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკის წინაშე ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება დადგეს, სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები კი, ხშირ შემთხვევაში, ძვირია. **ჯანმრთელობის დაზღვევა** შესაძლებლობას იძლევა ასეთ შემთხვევებში შევამციროთ ან სრულად ავირიდოთ სამედიცინო ხარჯები. ამასთან, ჯანმრთელობის დაზღვევა გვებმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ ჩვენმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ჩვენი და ჩვენი ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობის დაზღვევა შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო (ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ანაზღაურებს მოსარგებლის

სამედიცინო მომსახურების ხარჯებს). მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის მრავალნაირი სისტემა არსებობს, უმრავლეს შემთხვევაში კი კერძო და სახელმწიფო დაზღვევის სხვადასხვაგვარი კომბინაცია გვხვდება.

საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანსაც მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სამოგზაურო დაზღვევა

ფარავს საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას დამდგარ რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა, მაგ. სამედიცინო მომსახურებასთან, ან მოგზაურობის გაუქმებასთან, დაკარგულ ბარგთან და სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები; ამიტომაც, ამ სახის დაზღვევა ძალიან პრაქტიკული და პოპულარულია.

სიცოცხლის დაზღვევა

კი ძირითადად დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის/მემკვიდრის მიერ ფულადი კომპენსაციის მიღებას უზრუნველყოფს. მსოფლიოში

გავრცელებულია სიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა სახეობა. სიცოცხლის დაზღვევა შესაძლებელია გარდაცვალების რისკს არც უკავშირდებოდეს (მაგალითად, სადაზღვევო კომპენსაციის გაცემა კონკრეტული ასაკის მიღწევისას მოხდეს). როგორც წესი, სიცოცხლის დაზღვევის სახეობები გრძელვადიანია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სადაზღვევო ორგანიზაციების მხრიდან ჭანმრთელობის დაზღვევის პოლისში სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევის გაერთიანება მიღებული პრაქტიკაა.

ქონების დაზღვევა

ქონების დაზღვევა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავირიდოთ იმ რისკებიდან გამომდინარე ხარჯები, რომლებიც ჩვენს უძრავ ან მოძრავ ქონებას შეიძლება დაემუქროს. არსებობს ქონების დაზღვევის არაერთი სახეობა, მათი დაჯგუფება კი შემდეგნაირად შეგვიძლია:

1 სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა (აგროდაზღვევა) შეიძლება მოიცავდეს სოფლის მეურნეობის კულტურების, ცხოველების, ფრინველების, თევზის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სხვა ქონების

დაზღვევას. აგროდაზღვევა კარგი საშუალებაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ისეთი რისკებისგან თავის დასაცავად, როგორცაა სტიქიური უბედურებები (მათ შორის სეტყვა, ხანძარი, წყალდიდობა, გვალვა, და ა.შ.) ან მღრღნელებისა და მწერების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება.

2 ტრანსპორტის დაზღვევა

- მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების (მაგ. ავტომობილების, გემებისა და თვითმფრინავების) დაზღვევას და მინიმუმამდე დაჰყავს, ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული, გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯები.

3 სხვა სახის ქონების დაზღვევა

- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი ან ბიზნესის ქონება (მაგ. საცხოვრებელი თუ საოფისე შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, შინაური ცხოველები, ავეჯი, ძვირფასეულობა) სხვადასხვა რისკისგან, როგორცაა ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები, და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ დროთა განმავლობაში ქონების ცვეთისგან მიღებულ ზარალს დაზღვევა არ ანაზღაურებს.

პასუხისმგებლობის დაზღვევა

პასუხისმგებლობის დაზღვევა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდონ ის ფინანსური ზარალი, რომელიც მათი საქმიანობის შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული. მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობების დაზღვევა შეიძლება მოიცავდეს:

■ **პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**, რომელიც დაზღვეულ პირებს იცავს ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც ისინი, საკუთარი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, უნებლიედ აყენებენ ზიანს მესამე პირებს. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ხშირად სარგებლობენ ექიმები, აუდიტორები, არქიტექტორები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. მაგალითისთვის, საქართველოში ნოტარიუსების უმრავლესობა სარგებლობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით, რაც გულისხმობს, ნოტარიუსის საქმიანობის პროცესში, ნოტარიუსის

გაუფრთხილებლობის გამო მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამას გარდა, მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულია ექიმის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობაც, რაც ემსახურება სამედიცინო პროცედურებისა და კლინიკური კვლევების ჩატარებისას პაციენტისადმი მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას.

■ **სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა** - რაც მოიცავს, მათ შორის, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევას დასაქმებული პირის მიერ სამუშაო ადგილზე მიღებული დაზიანებისთვის, ასევე, მესამე პირისადმი ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევას (რომელსაც ზოგჯერ ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევასაც უწოდებენ), რომელიც დამზღვევს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალეულობით ავტომობილის მართვის დროს დაზიანდება სხვისი ავტომობილი, მესამე პირი ან ქონება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის

მფლობელები ვალდებული არიან შეიძინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ამგვარი ვალდებულების გავრცელება იგეგმება საქართველოში რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის მფლობელებზეც. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმაა ასევე ე.წ. მომატებული საფრთხის (საშიშ საწარმოთა) პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც ფარავს მაღალი რისკის მქონე (მაგ. ბირთვული ან ქიმიური) საწარმოების მიერ მესამე პირებისთვის და გარემოსთვის მიყენებული ზარალის ხარჯებს. გაითვალისწინეთ, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ორგანიზაცია ყველა შემთხვევაში არ ანაზღაურებს ზარალს. სადაზღვევო პირობებს გააჩნია “გამონაკლისები” სადაც მითითებულია თუ რა შემთხვევაში არ ანაზღაურებს სადაზღვევო ორგანიზაცია ზიანს. ასევე, ანაზღაურება არ გაიცემა, თუ ზარალი დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან ან წინასწარ განზრახვით ხდება სადაზღვევო ორგანიზაციის შეცდომაში შეყვანა. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სადაზღვევო ორგანიზაცია არ დაფარავს ზარალს, თუ ავტომობილს

მართავდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი. სწორედ ეს შეზღუდვები ზრდის დაზღვეული პირის პასუხისმგებლობას. ცხოვრების მანძილზე ბევრი გაუთვალისწინებელი რამ ხდება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა და კომპანიებმა წინასწარ იზრუნონ ასეთი შემთხვევების დადგომისას ფინანსური რისკების შემცირებაზე ან სულაც, აღმოფხვრაზე. ბევრს დაზღვევაში ფულის გადახდა უცნაურად ეჩვენება, რადგან, განსხვავებით რაიმე ნივთის შეძენისგან ან თანხის სესხებისგან, დაზღვევის რეალურ, სასარგებლო შედეგებს არა მომენტალურად, არამედ მომავალში, გაუთვალისწინებელი და უსიამოვნო შედეგების დადგომისას ვხედავთ. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, ხვალინდელზე დღეს ვიფიქროთ. დაზღვევა კი, თავის მხრივ, დაგვეხმარება დავიცვათ საკუთარი თავი, ოჯახი, საქმე/ ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა, და მივალწიოთ ფინანსურ სიმშვიდესა და სტაბილურობას.





თელთური
სქემები და
ფინანსური
უსაფრთხობა



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საერთაშორისო ფონდი

ალბათ, გსმენიათ თაღლითური სქემების შესახებ, რომელთა გამოც ადამიანები ფინანსურად ბარალდებიან. ამ ბროშურის მიზანია, გაგაცნოთ ინფორმაცია ფინანსური თაღლითობის ყველაზე გავრცელებული ფორმებისა და იმ პრაქტიკული რჩევების შესახებ, რომლებიც თაღლითობის თავიდან არიდებაში დაგეხმარებათ.

ინტერნეტ თაღლითობა

დღევანდელ დღეს, რამდენადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აქტიურად იყენებს ინტერნეტს, სწორედ ინტერნეტ მომხმარებლები წარმოადგენენ თაღლითებისთვის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ და მიმზიდველ სამიზნეს. ინტერნეტის აქტიურმა გავრცელებამ და მოხმარებამ და, ასევე, ტექნოლოგიურმა განვითარებამ თაღლითობის თვალსაზრისით ახალი სახის რისკები წარმოქმნა.

ინტერნეტ თაღლითობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა **ფიშინგი**. ტერმინი ფიშინგი (phishing) ინგლისური სიტყვიდან - fishing - მოდის, რაც თევზაობას ნიშნავს. ფიშინგის ფარგლებში, თაღლითების მხრიდან

პირადი სარგებლის მიღების მიზნით ხდება ინტერნეტ მომხმარებლის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორცაა პირადი ნომერი, ინტერნეტ ბანკის პაროლი, ბარათის ან საბანკო ანგარიშის ნომერი, ბარათის უკანა მხარეს დატანილი უსაფრთხოების 3-ნიშნა (მაგ.: VISA და Mastercard ტიპის ბარათებზე) ან 4-ნიშნა (მაგ.: American Express-ის ტიპის ბარათებზე) კოდი, და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ მონაცემების ხელში ჩაგდების გზით, თაღლითებს თქვენი ნებართვის გარეშე სხვადასხვა არასანქცირებული ოპერაციის განხორციელება (მაგალითად, თქვენი სახელით სესხის აღება) და თქვენი თანხის მითვისება შეუძლიათ.

ფიშინგი, როგორც წესი, ელექტრონული წერილების (e-mail) დაგზავნით ხორციელდება.

ასეთი წერილი, ერთი შეხედვით, ისეთი სანდო წყაროსგან მიღებულ შეტყობინებას ჰგავს, როგორცაა ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და სხვა ორგანიზაცია, რომელთანაც პოტენციურ მსხვერპლს შეიძლება ჰქონდეს ურთიერთობა.

თაღლითურ გზავნილში

ხშირად მოცემულია ვებგვერდის ბმული, რომლის მისამართი თითქმის არ განსხვავდება ნამდვილი გვერდის მისამართისგან. თუმცა, გაყალბებულ ვებგვერდზე გადასვლისას, მომხმარებლის მიერ შეყვანილი ინფორმაცია - სახელი და გვარი, ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი, საბანკო ბარათის ან ანგარიშის ნომერი, უსაფრთხოების კოდი, და ა.შ. - ავტომატურად ხვდება ე.წ. „ფიშერის“ ხელში. თაღლითურ ელექტრონულ წერილზე შეიძლება ასევე მიმავრებული იყოს ფაილი, რომლის გახსნის შედეგადაც შესაძლებელი ხდება თქვენს კომპიუტერში შეღწევა. არსებობს ფიშინგის სხვა გავრცელებული მეთოდებიც. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს სოციალურ ქსელში ყალბი შემოთავაზებების გავრცელება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, სოციალური ქსელის მომხმარებელს შეიძლება შეხვდეს რეკლამა ან შეთავაზება, რომლის უკანაც ყალბი ორგანიზაცია ან ისეთი პიროვნება (პიროვნებათა ჯგუფი) დგას, რომლის მიზანსაც მომხმარებლის პირადი და კონფიდენციალური მონაცემების მოპოვება წარმოადგენს. შესაბამისად, ყურადღება გმართებთ სოციალურ ქსელებში მიღებულ შეთავაზებებთან დაკავშირებით და უმჯობესია,

მაქსიმალურად შეზღუდოთ სოციალური ქსელით პირადი ინფორმაციის გაზიარება. ფიშინგი ინტერნეტის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს. **„სმიშინგი“ / smishing – SMS-** ფიშინგი - ფიშინგის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელიც მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით ხორციელდება, სადაც წერილის გამომგზავნად ბანკის ან სხვა ორგანიზაციის სახელია მითითებული და რომლის შიგთავსიც თაღლითურ ვებმისამართზე გადასასვლელ ბმულს შეიცავს. ვიშინგი / vishing კი სატელეფონო თაღლითობის სახეობა, რომელსაც თაღლითები კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მიზნით იყენებენ. მაგალითად, თაღლითები შესაძლოა, მომხმარებელს ბანკის სახელით ტელეფონით დაუკავშირდნენ და ბარათის რეკვიზიტებისა და პინ-კოდის გაზიარება სთხოვონ. შესაბამისად, მომხმარებელმა სატელეფონო კომუნიკაციის დროსაც უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე.

გაითვალისწინეთ, რომ ფიშინგური/ყალბი ელექტრონული წერილები ხშირად „სპამის“ სახით მოდის. **„სპამინგი“ / spamming** ელექტრონული წერილების მიმღების დაუკითხავად და მისი სურვილის გარეშე დაგზავნის პროცესს ეწოდება.

როგორც წესი, მსგავსი წერილები სარეკლამო ხასიათისაა, თუმცა ჰაკერები „სპამინგს“ ხშირად თაღლითური სქემებისთვისაც იყენებენ და პოტენციურ მსხვერპლთან სხვადასხვა შინაარსის შეტყობინებებს აგზავნიან, როგორცაა თანხის გადარიცხვის მოთხოვნა მოგებული პრიზის მისაღებად, გაცნობის მოთხოვნა თაღლითობის მიზნით, არასწორად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა, მედიკამენტების ან სხვა ნაწარმის შესყიდვის შეთავაზება და სხვა. ამიტომ, უფრთხილდით თქვენი სურვილის გარეშე, „სპამის“ სახით მოსულ შემოთავაზებებს.

პირადი და ფინანსური ინფორმაციის მოპარვა არ არის ერთადერთი საფრთხე, რომლის წინაშეც ფიშინგის მსხვერპლი მომხმარებელი შეიძლება დადგეს. ფიშინგური/ყალბი ვებგვერდი შეიძლება მავნე ან ჯაშუშურ პროგრამასაც შეიცავდეს. ამრიგად, თუ თქვენ არ გაქვთ საბანკო ანგარიში, რომლითაც შეიძლება თაღლითები დაინტერესდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად უსაფრთხოდ ხართ. თაღლითს შეუძლია თქვენი ელექტრონული ფოსტის მონაცემების მოპარვა, რათა ის სხვა მომხმარებლებში „სპამისა“ და ვირუსების გასავრცელებლად

გამოიყენოს.

რომ შევაჯამოთ, აუცილებელია, გაუფრთხილდეთ თქვენს პირად ინფორმაციას. მაქსიმალურად შეიკავეთ თავი პირადი/პასპორტის ნომრის, ასევე, საბანკო ბარათის და ანგარიშის მონაცემების, მათ შორის, ბარათის ნომრის, პინ-კოდის, ბარათის მოქმედების ვადისა და ბარათის უკანა მხარეს მოცემული 3- ან 4-ნიშნა უსაფრთხოების კოდის გაზიარებისაგან. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ ნამდვილად თქვენს მომსახურე ბანკს ესაუბრებით - იქნება ეს ელ-ფოსტით, SMS-ით, ტელეფონით თუ სოციალური ქსელებით - აუცილებლად დაუკავშირდით ბანკს ოფიციალურ ტელეფონის ნომერზე და სთხოვეთ სიტუაციაში გარკვევა. დაიმახსოვრეთ, რომ ფიშინგური/თაღლითური შეტევების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მომხმარებელთა გაუთვითცნობიერებლობასა და უყურადღებობაზე!

ინტერნეტ თაღლითობის თავიდან აცილების მიზნით ინტერნეტით „შოპინგის“ მოყვარულებმა უმჯობესია არ გამოიყენოთ თქვენი ძირითადი ბარათი, რომელზეც ხელფასი გერიცხებათ, ან რომელზეც დიდი ოდენობის თანხა გაქვთ განთავსებული; სხვადასხვა

ნივთისა და მომსახურების ონლაინ-სივრცეში შესაძენად სასურველია, იქონიოთ ცალკე ანგარიში და ბარათი, სადაც თანხის ზუსტად იმ ოდენობას შეინახავთ, რაც ინტერნეტ-შესყიდვის შესასრულებლად არის საჭირო. ამასთან, უსაფრთხოების დამატებითი, თუმცა არასრულყოფილი მექანიზმია ინტერნეტ ტრანზაქციების დაცულ ვებგვერდებზე განხორციელება, სადაც ვებგვერდის მისამართი იწყება <https://-ით ან shhttp:// და არა http://-ით>. ვებგვერდის დაცულობაზე ასევე მიუთითებს ჩაკეტილი მწვანე ბოქლომის სიმბოლო, რომელიც ვებგვერდის მისამართის ველში ჩანს და რომელზე დაჭერითაც შეგიძლიათ ვებგვერდის სანდოობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნახვა.

დამატებით, სასურველია, ინტერნეტ გადახდა განხორციელდეს ისეთი ვებგვერდიდან, რომელსაც **3D უსაფრთხოების ტექნოლოგია** აქვს, ხოლო თქვენს ბარათზე უმჯობესია გააქტიურებული იყოს 3D დაცვის მექანიზმი (თუ თქვენს მომსახურე ბანკს აქვს ამ ფუნქციონალის შეთავაზების შესაძლებლობა).

ამასთან, თქვენს მობაილ და ინტერნეტბანკში შესასვლელად უმჯობესია, გამოიყენოთ რთული

პაროლი და გააქტიუროთ ორდონიანი ავტორიზაციის ფუნქცია, რომელიც გულისხმობს პაროლის მითითებასთან ერთად დამატებითი უსაფრთხოების საშუალებების გამოყენებას, როგორცაა სისტემაში შესვლის დამადასტურებელი ერთჯერადი კოდის SMS-ით, ელ-ფოსტით ან სპეციალური მოწყობილობით - თოქენით (ე.წ. „დიჯიპასით“, რომელიც აგენერირებს ერთჯერადი სარგებლობის კოდს) მიღებასა და სისტემაში შეყვანას. ორდონიანი ავტორიზაციის გამოყენება მიზანშეწონილია ინტერნეტბანკით ან მობაილბანკით ტრანზაქციების განხორციელების დროსაც, რა შემთხვევაშიც, თითოეული ტრანზაქციის განსახორციელებლად SMS-ით, ელ-ფოსტით ან თოქენით მიიღებთ უნიკალურ კოდს. რაც ეხება პაროლს, სასურველია, რომ ის არანაკლებ რვა სიმბოლოსგან შედგებოდეს და შეიცავდეს როგორც დიდ, ისე პატარა ასოებს, ციფრებსა და სხვა სიმბოლოებს (მაგ. წერტილს, დეფისს, ძახილის ნიშანს).

ბარათის რეკვიზიტები, ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი არ შეინახოთ კომპიუტერში, მობილურში და სხვა ელექტრონულ მოწყობილობებში. საჭარო WiFi-ით უსადენო

ინტერნეტით) სარგებლობისას, არ ისარგებლოთ ინტერნეტბანკით და სისტემაში არ შეიყვანოთ ბარათის მონაცემები. თქვენი ელექტრონული მონაცემები - მათ შორის, სმარტფონების, პლანშეტების და ლეპტოპების - ჰაკერული შეტევებისგან დასაცავად, გირჩევთ დროულად განაახლოთ პროგრამული უზრუნველყოფა და დარწმუნდეთ, რომ ანტივირუსული პროგრამების უახლეს ვერსიებს იყენებთ.

დაბოლოვს, იმისთვის, რომ დაადგინოთ ამა თუ იმ ვებსაიტის ნამდვილობა და წარმომავლობა, შეგიძლიათ WHOIS მომსახურება (პროტოკოლი) გამოიყენოთ, რომელსაც არაერთი ვებგვერდი გვთავაზობს. ამისათვის, საკმარისია მიუთითოთ საეჭვო ვებმისამართის (დომენის) დასახელება, WHOIS კი საჭარო მონაცემთა ბაზებში მოიძიებს და მოგაწვდით აღნიშნული ვებმისამართის შესახებ ისეთ ინფორმაციას, როგორცაა მისი რეგისტრაციისა და მოქმედების ვადა, დომენის ამჟამინდელი მფლობელი და სხვა. ეს კი დაგეხმარებათ ვებგვერდის ნამდვილობის დადგენაში. მაგალითად, თუ იცით, რომ თქვენთვის ნაცნობი კომპანიის ვებგვერდი დიდი ხანია არსებობს, საეჭვო ვებგვერდის რეგისტრაციის თარიღი კი შედარებით

ახალია - სავარაუდოდ, თალღითობასთან გაქვთ საქმე.

თალღითობა საბანკო საგადახლო ბარათის, ბანკომატისა და პოს-ტერმინალის გამოყენებით

თუ არ გამოიჩინებთ ყურადღებას, თალღითებმა თქვენი საგადახლო ბარათის მონაცემები შესაძლოა, მაშინაც მიითვისონ, როდესაც ბანკომატით ან პოს-ტერმინალით სარგებლობთ.

ბანკომატით სარგებლობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე: არ დაუშვათ, რომ სხვა ადამიანი თქვენთან ზედმეტად ახლოს იდგეს და ხედავდეს, თუ რა კოდს კრეფთ; დაფარეთ ბანკომატის კლავიატურა, როდესაც მას იყენებთ, კარგად დაათვალიერეთ ბანკომატი და დარწმუნდით, რომ ბანკომატზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის დაყენებული ისეთი კამერა ან მონაცემილობა, რომელიც ბანკს არ ეკუთვნის და რომელმაც შესაძლოა თქვენი ბარათის მონაცემები დააფიქსიროს. დაბოლოვს, მიაქციეთ ყურადღება, რომ ბარათი და ფული, ბანკომატში არ დაგრჩეთ.

(1. მაგალითად, www.whois.net,

www.whois.com, ა.შ.) მომხმარებლები საკუთარ ბარათს, ხშირად, უყურადღებოდ ტოვებენ, რაც ხელსაყრელია თაღლითებისთვის. არ დატოვოთ ბარათი და ფინანსური დოკუმენტები მაგიდაზე სამსახურში ან უნივერსიტეტში, მანქანაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც მასზე ხელი სხვა ადამიანს მიუწვდება. არ დააწეროთ პინ-კოდი თქვენს ბარათს და ბარათი და ფურცელზე ამოწერილი პინ-კოდი საფულეში ერთად არ განათავსოთ. ამასთან, როგორც უკვე ვისაუბრეთ, არ გაგზავნოთ ბარათის მონაცემები - ნომერი, მოქმედების ვადა, უსაფრთხოების კოდი - ტელეფონით ან ელ. ფოსტის საშუალებით და არ გაუზიაროთ ეს მონაცემები თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებსაც კი.

მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ **სკიმინგზეც, რომელიც ფინანსური თაღლითობის ერთ-ერთი საყურადღებო ფორმაა.** სკიმინგის დროს, ბანკომატზე ან პოს ტერმინალზე სპეციალური მოწყობილობა - სკიმერი მონტაჟდება, რომელიც მიზნად ისახავს ბარათის მონაცემების (პინ-კოდი, ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, უსაფრთხოების კოდი) მოპარვას, რომლებსაც თაღლითი თანხის

მისათვისებლად იყენებს.

სკიმინგისგან თავის დაცვის მიზნით, ბანკომატის გამოყენებისას - განსაკუთრებით, საზღვარგარეთ მოგზაურობისას - დარწმუნდით, რომ ის განათებულ ადგილასაა განთავსებული (ღამის საათებში კი უმჯობესია, თუ დაცულ გარემოში (მაგ. ბანკის თვითმომსახურების 24-საათიან სერვის ცენტრებში) არსებულ ბანკომატებს გამოიყენებთ), არ ემჩინება დაზიანებები და რომ უშუალოდ ბანკომატზე არ არის დამონტაჟებული საეჭვო მოწყობილობები. მაგალითად, თუ ბანკომატის კლავიატურაზე, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეჰყავს საკუთარი ბარათის პინ-კოდი, გადაკრულია რაიმე მოწყობილობა ან რეზინის/პლასტმასის გამჭვირვალე გარსი, არ განათავსოთ საგადახდო ბარათი ბანკომატში და არ აკრიფოთ პინ-კოდი მოცემულ ბანკომატზე. ამასთან, ბანკომატის გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ მის ეკრანზე ბანკის ოფიციალური ნარწერა არის განთავსებული.

თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ ბანკომატის გამოყენება უსაფრთხოა, მაშინ ატობებს, თავი შეიკავოთ მისი გამოყენებისგან, პრობლემის არსებობის შესახებ კი

დაუყოვნებლივ აცნობოთ ბანკს.

პოს-ტერმინალით სარგებლობის დროსაც უნდა დაიცვათ უსაფრთხოების ზომები: დარწმუნდით, რომ მას არ ემჩინება დაზიანებები. ამასთან, მოითხოვეთ ტრანზაქცია თქვენი თანდასწრებით ჩატარდეს და არასდროს გაატანოთ ბარათი მომსახურე პერსონალს (მათ შორის ბენზინგასამართ სადგურებზე, რესტორნებსა და სხვა ადგილებში), რამდენადაც ამ დროს ჩნდება რისკი, რომ თქვენი ბარათის მონაცემები მოიპარონ. გაითვალისწინეთ, რომ მონაცემების მოპარვა არა მხოლოდ სპეციალური მოწყობილობებით, არამედ ძალიან მარტივად, ფოტოს გადაღებით ან მონაცემების გადაწერითაც კი შეიძლება მოხდეს. ამიტომ, არ დაუშვათ, რომ ბარათმა თქვენი მხედველობის არეალი დატოვოს.

ფინანსური თაღლითობისგან თავის დაცვის მიზნით, კარგი იდეაა ბანკის SMS-მომსახურებით სარგებლობა, რაც საშუალებას მოგცემთ, მომენტალურად მიიღოთ ინფორმაცია თქვენი ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ მობილურ ტელეფონზე. ამასთან, ბარათით განხორციელებული ოპერაციების გაკონტროლების კარგი

საშუალებაა საბანკო ამონაწერის რეგულარული შემოწმება. ამ გზით, მარტივად შეამჩნევთ იმ საექვო ტრანზაქციებს, რომლებიც, შესაძლოა, თქვენ არ შეგისრულებიათ. საგადახდო ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით იმ საფინანსო ორგანიზაციას, რომელმაც გადმოგცათ ბარათი და მოითხოვეთ ბარათის დაბლოკვა. ხშირ შემთხვევაში, ბარათის დაბლოკვა ინტერნეტ და მობაილ ბანკითაც შეგიძლიათ. თუ ბარათს არ დაბლოკავთ, თაღლითებმა, რომლებმაც მოიპარეს ან იპოვეს თქვენი ბარათი, შესაძლოა მყისიერად განახორციელონ თაღლითური ოპერაციები.

თაღლითობა გაყალბებული ფულის გამოყენებით

თაღლითობის განხორციელება გაყალბებული ფულის საშუალებითაც არის შესაძლებელი. ამგვარი თაღლითური სქემის მსხვერპლი კი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს. გამოიჩინეთ ყურადღება ნაღდი ფულის მიღებისას, დააკვირდით

თქვენთვის გადმოცემულ ბანკნოტს და შეამოწმეთ ის დამცავი ნიშნები, რომლებიც ნამდვილ ფულს ყალბი ფულისგან განასხვავებს. გაყალბებული ბანკნოტის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოთ თქვენს მომსახურე ან საქართველოს ეროვნულ ბანკს და სამართალდამცავ ორგანოებს. დამატებითი ინფორმაცია განახლებული ლარისა და მისი დამცავი ნიშნების შესახებ შეგიძლიათ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ვებგვერდზე იხილოთ:

www.ganakhlebulilari.ge.

ფინანსური პირამიდები

თანამედროვე სამყაროში ფინანსური თაღლითობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ე.წ. ფინანსური პირამიდაა, რომლის შესახებაც ინფორმაციის ფლობა დაგეხმარებათ თავი დაიცვათ საეჭვო გარიგებებში უნებლიედ ჩართვისგან.

ფინანსური პირამიდა საქმიანობის ისეთი ფორმაა, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობისგან ხდება თანხების მოზიდვა და სანაცვლოდ, როგორც წესი, ბაზარზე არსებულ

საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით გაცილებით მაღალი სარგებლის შეთავაზება.

ფინანსური პირამიდა, უმეტესწილად, არ ახორციელებს მომგებიან ინვესტიციას და მომხმარებლისთვის დაპირებული სარგებლის გადახდის ერთადერთი წყარო ახალი და/ან არსებული წევრებისგან დამატებითი სახსრების მოზიდვაა.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებული ჩანს ასეთი კომპანია დროის რომელიმე მომენტში, სქემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ახალი წევრების და/ან დამატებითი თანხის მოზიდვა. შესაბამისად, როდესაც შეუძლებელი გახდება ახალი წევრების და/ან დამატებითი თანხის მოზიდვა, კომპანია ველარ გაისტუმრებს წევრების მიმართ არსებულ ვალდებულებებს და ფინანსური პირამიდა აუცილებლად დაიშლება, მისი წევრები კი დაკარგავენ დაბანდებულ ფულს. ფინანსური პირამიდისა და მისი ამომცნობი ნიშნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მომზადებულ ბლოგ-პოსტში და მოისმინოთ ქვემოთ მოცემულ ვიდეორგოლებში:

ბლოგ-პოსტი ფინანსური პირამიდების შესახებ:

www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=183

ვიდეორგოლი ფინანსური პირამიდების შესახებ:

www.youtube.com/watch?v=vNmWQFHbgYE&t=5s

ვიდეორგოლი გონივრული დაზოგვის შესახებ:

<https://www.youtube.com/watch?v=BN8XeByjji>

ყურადღება გამოიჩინეთ თქვენი დანაზოგის რომელიმე ორგანიზაციისთვის მინდობისას - მოიძიეთ ინფორმაცია ამ ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, და დარწმუნდით, რომ საქმე არ გაქვთ თაღლითურ სქემებთან. დაიმახსოვრეთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მაღალ დაპირებულ სარგებელს მაღალი რისკიც უკავშირდება. დაბოლოს, არავინაა დაზღვეული ფინანსური თაღლითობისგან. შესაბამისად, წინდახედულობა და სიფრთხილე, ასევე, საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობებისა და ფინანსური თაღლითობის ყველაზე გავრცელებული ფორმების ცოდნა დაგეხმარებათ თავი დაიცვათ თაღლითური სქემებისგან და დროულად მოახდინოთ

რეაგირება თაღლითობის ფაქტის დადგომის შემთხვევაში.



მომხმარებლის
უფლებები
და პასუხისმგებლობები



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საერთაშორისო კომიტიების სარეგულირებო ფონდი

თანამედროვე სამყაროში, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას (მაგ. დამოუკიდებელი ცხოვრების ან საკუთარი ბიზნესის დაწყება) თუ ყოველდღიურ საჭიროებებთან გასამკლავებლად (მაგ. კომუნალური გადასახადების გადახდა) ხშირად გვიწევს ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და მათი მომსახურებით სარგებლობა. ამ ურთიერთობის ფარგლებში კი საკუთარი უფლებების ცოდნა და ინფორმირებული, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება დაგვეხმარება, თავიდან ავირიდოთ როგორც ჩვენი უფლებების შესაძლო დარღვევა, ისე გაუთვალისწინებელი ხარჯები და ფინანსური პრობლემები, რომლებიც შესაძლოა ჩვენი არაგონივრული ნაბიჯებით იქნას გამოწვეული.

ალბათ, გასმენიათ ადამიანების შესახებ, რომლებსაც შექმნიათ პრობლემა ფინანსურ ორგანიზაციასთან ურთიერთობისას. ხშირად, ამგვარი პრობლემები სწორად მომხმარებლების გაუთვითცნობიერებლობით არის გამოწვეული. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ბევრი მცდარი წარმოდგენაა გავრცელებული ფინანსური ორგანიზაციებისა და მომხმარებლის უფლებებისა თუ პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მომხმარებლების მხრიდან არაგონივრულ ქცევებში იჩენს თავს.

მაგალითად, ადამიანების ნაწილი ფიქრობს, რომ ხელშეკრულების წაკითხვა არ არის აუცილებელი, ან რომ

შეკითხვების დასმას აზრი არ აქვს. შესაბამისად, ასეთი ადამიანები ხშირად გაუაზრებლად იღებენ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, წაუკითხავად აწერენ ხელს ხელშეკრულებას და მომავალში ბევრი ისეთი ხარჯის გაწევა და პირობის შესრულება უწევთ, რომლისთვისაც თავიდან არც კი მიუქცევიათ ყურადღება.

ადამიანების სხვა ნაწილი კი დღევანდელ სურვილებს ხვალისდღელ კეთილდღეობაზე მალლა აყენებს და იმპულსურად, საკუთარი შესაძლებლობების აწონ-დაწონვის გარეშე იღებს სესხს, ან სხვას სთხოვს მის სახელზე აიღოს სესხი, რითაც ამ ადამიანს აყენებს კონკრეტული რისკების წინაშე. ამის გარდა, ზოგი ადამიანი თანხის დაზოგვისას წინდახედულობას ივიწყებს და მალალი სარგებლის მოკლე დროში მიღებაზე ფიქრობს, რის გამოც საკუთარ დანაზოგს ისე ანდობს ამა თუ იმ კომპანიას, რომელიც მიზმიდველ პირობებს ჰპირდება, რომ არც ამ კომპანიის ფინანსური მონაცემებითა და საქმიანობით ინტერესდება და არც საკუთარი დანაზოგის დაცულობით, რითაც საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ კეთილდღეობას.

არასასურველი შედეგების თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გავაანალიზოთ ჩვენი დამოკიდებულებები ფულთან მიმართებაში, არამედ ვიცოდეთ, რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს და გადაწყვეტილებებიც შესაბამისად მივიღოთ.

საქართველოს ეროვნული ბანკი და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

საქართველოში ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებებს საქართველოს ეროვნული ბანკი იცავს. მის მიერ შექმნილ უფლებებზე დირექტორეგულაციას კი, რომელიც მომხმარებლების უფლებების დაცვის საკითხებს აწესრიგებს, „**ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი**“¹ ეწოდება. ეს რეგულაცია ადგენს სავალდებულო წესებს, რომლებიც მომსახურების გაწევისას კომერციულმა ბანკებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და არასაბანკო საკრედიტო კავშირებმა და სესხის გამცემმა სუბიექტებმა უნდა დაიცვან. გასათვალისწინებელია, რომ ეს წესი არ ვრცელდება იმ ორგანიზაციებზე რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის ბედამხედველობის არეალში არ ექცევიან - მაგალითად, სალიზინგო და სადამზღვევო ორგანიზაციებზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს, როგორებიცაა: ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის სრულად, გასაგებ ენაზე და დროულად მიწოდება, ფინანსური მომსახურებების რეკლამირება-შეთავაზებისას პროდუქტთან დაკავშირებული ხარჯების ნათლად წარმოჩენა,

ხელშეკრულების გაფორმებისას გარკვეული სტანდარტების დაცვა (მაგ. ეს წესი განსაზღვრავს ხელშეკრულებაში აუცილებლად მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალს), მომხმარებლების პრეტენზიების მიღება და მათზე გონივრულ ვადებში რეაგირება და ა.შ.

ამ წესის მიხედვით ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებამდე - მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება დისტანციურად (მაგ. ინტერნეტით) ფორმდება თუ მატერიალურად (მაგ. ფილიალში), ასევე პროდუქტის შეთავაზების პროცესში, მომხმარებელს აცნობოს მისთვის სასურველ პროდუქტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები. ასეთი რისკი შეიძლება იყოს, მაგალითად, სესხზე გადასახდელი თანხის ზრდის რისკი, რაც იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს, თუ მომხმარებელს შემოსავალი ლარში აქვს, სესხს უცხოური ვალუტით იღებს, ლარი კი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურდება. ასევე, სესხის გადაუხდელობასთან დაკავშირებული რისკები (მაგ. ჭარბების დარიცხვა, საკრედიტო ისტორიის გაუარესება, სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების გაყიდვა) და ა. შ.

გარდა ამისა, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია, მისი მხრიდან სადემოკრიტო ან საკრედიტო ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილებების შეტანამდე, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია პერსონალურად, მომხმარებელთანვე წინასწარ შეთანხმებული არხით -

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606>

წერილობით, ელექტრონულად ან ზეპირად. ამრიგად, ფილიალში ან ვებგვერდზე ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული განცხადება არ ჩაითვლება მომხმარებლის ინფორმირებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური ორგანიზაციის შესაბამისი ინფორმირება მომხმარებლის პასუხისმგებლობაა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი განსაზღვრავს საკომისიოს მაქსიმალურ ოდენობასაც, რომელიც ფინანსურ ორგანიზაციას შეუძლია დააწესოს, თუ მომხმარებელი ვადაზე ადრე დაფარავს სესხს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დეტალურად გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის გვერდს -

www.nbg.gov.ge/cp/

რა პასუხისმგებლობები აქვს მომხმარებელს და რა უნდა გაითვალისწინოს მან?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომხმარებლებს ფინანსურ ორგანიზაციებთან მიმართებაში გარკვეული უფლებები აქვთ და ფინანსური ორგანიზაციების მიერ ამ უფლებების დაცვა შესაბამისი რეგულაციით არის უზრუნველყოფილი. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მომხმარებელმა გაიანბროს, რომ უფლებებს პასუხისმგებლობებიც თან ახლავს, და რომ თავადაც უნდა იზრუნოს საკუთარი

უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. ამ პროცესში კი ამომწურავი ინფორმაციის მოძიება და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ყველაზე სწორი ტაქტიკაა.

ფინანსური მომსახურების მიღებამდე, მომხმარებელი აუცილებლად დეტალურად უნდა გაეცნოს შემოთავაზებული მომსახურების ყველა პირობას, ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა შემოთავაზება, დასვას შეკითხვები და მოითხოვოს საკუთარ შეკითხვებზე დეტალური პასუხების მიღება.

სმსხმბა

როდესაც ადამიანი სესხის აღებას გეგმავს, მან აუცილებლად უნდა სთხოვოს სესხის გამცემი ორგანიზაციის წარმომადგენელს აუხსნას სესხთან დაკავშირებული პირობები - მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი, სესხის მოცულობა და ვადა, სესხის დაფარვის გრაფიკი და შენატანების მოცულობა, შესაძლო საკომისიოები და ჭარიმები, ა.შ. - და ამ ინფორმაციის საფუძველზე ისეთი პროდუქტი აირჩიოს, რომელიც თავის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ასევე, შემოსავლის მიღების გრაფიკს ყველაზე უკეთ ერგება.

სასესხო პროდუქტის შერჩევასა და მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ **ნომინალური** საპროცენტო განაკვეთი, არამედ **ეფექტური** საპროცენტო

განაკვეთიც, რომელიც ასახავს პროდუქტის რეალურ ფასს, სესხთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და ამ ხარჯების განვების დროის გათვალისწინებით, მაგ. ერთი მხრივ, ხარჯებიდან შესაძლოა მომხმარებელს უწევდეს დამატებით სიცოცხლის დაზღვევის, სესხის გაცემის საკომისიო და ა.შ. გადახდა, მეორეს მხრივ, ესა თუ ის საკომისიო სესხის გაცემისთანავე, ყოველთვიურად ან სხვა ვადაში იყოს გადასახდელი. რეალურად, სწორედ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იძლევა განსხვავებული შეთავაზებების ერთმანეთთან შედარების საუკეთესო საშუალებას. მომხმარებელი, ასევე, კარგად უნდა გაეცნოს სესხის წინსწრებით (ანუ შეთანხმებულ ვადაზე ადრე) და დაგვიანებით დაფარვასთან დაკავშირებული საკომისიოების და ჭარბების მოცულობას.

აქვე, განსაკუთრებით საყურადღებოა ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ ის არ დაფარავს ქონებით უზრუნველყოფილ სესხს, მაშინ უზრუნველყოფაში ჩადებული ქონება (მაგ. საცხოვრებელი სახლი, მიწა) შეიძლება გაიყიდოს.

სესხის ვალუტის შერჩევისას მომხმარებელმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება გაცვლითი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკს, თუ მისი შემოსავალი განსხვავებულ ვალუტაშია. თუ მომხმარებელს შემოსავალი ლარში აქვს, სესხს კი უცხოური ვალუტით აიღებს, შენატანების გაკეთებაც უცხოური ვალუტით მოუწევს. უცხოური

ვალუტის მიმართ ლარის კურსის გაუფასურების შემთხვევაში ლარში გამოხატული უცხოური ვალუტის შენატანის მოცულობა გაიზრდება, რაც დამატებით ფინანსურ ტვირთად დააწვება მომხმარებელს. ამ სირთულეების თავიდან არიდების მიზნით, გონივრულია ადამიანებმა და კომპანიებმა სესხი იმ ვალუტით აიღონ, რომლითაც შემოსავალი აქვთ. მომხმარებელი თავად უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ლარში გამოხატული შენატანების მოცულობა გაცვლითი კურსის ცვლილების პარალელურად და რამდენად შეიძლება ის მომავალში სესხის უპრობლემოდ გადახდას. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ მომხმარებელი მრავალწლიან სესხს იღებს.

ბოლო წლების განმავლობაში, ფართოდ გავრცელდა ე.წ. სწრაფი სესხები, რომლებსაც ხშირად „ონლაინ“ სესხებსაც უწოდებენ და რომლებსაც სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები გასცემენ. ამ ტიპის სესხის მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მარტივად, ხშირ შემთხვევაში მომხმარებლის შემოსავალის სათანადოდ შემოწმების გარეშე, გაიცემა და მისი მიღება სახლიდან გაუსვლელად, რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. რეალურად კი, სწორედ სესხის გაცემის პროცედურის სიმარტივიდან გამომდინარე, ამ ტიპის სესხებს ბევრი საყურადღებო რისკი უკავშირდება: ასეთ სესხებს ჩვეულებრივ მაღალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქვს (რაც ნიშნავს, რომ სესხის დაფარვა მაღალ ხარჯსაც უკავშირდება) და გადახდის პირობების დარღვევის

შემთხვევაში მომხმარებლებს, როგორც წესი, მაღალი ჯარიმაც ერიცხებათ.

გარდა ამისა, ვინაიდან ხელშეკრულება ხშირად, ინტერნეტით ფორმდება, ბევრი მომხმარებელი ყურადღებას არ აქცევს მის პირობებს და ონლაინ თუ სატელეფონო რეჟიმში შეკითხვების დასმას თავს არიდებს. ამ შემთხვევაშიც, მომხმარებლის პასუხისმგებლობაა თვითონ შეაფასოს საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები, გაერკვეს პროდუქტის პირობებში (მათ შორის, ყურადღებით ნაიკითხოს ხელშეკრულება, დაუკავშირდეს ორგანიზაციას და დასვას შეკითხვები), მიაქციოს ყურადღება ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს.

ალსანიშნავია, რომ 2018 წლის მაისიდან, სესხის გაცემამდე ბანკებისთვის სავალდებულო გახდა მსესხებლის გადახდისუნარიანობის შემოწმება. 2019 წლის იანვრიდან კი ეს ვალდებულება სესხის გამცემ სხვა ორგანიზაციებზე, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ე.წ. „ონლაინ“ გამსესხებლებზეც გავრცელდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს მოთხოვნა არ ვრცელდება გარკვეულ უზრუნველყოფილ სესხებზე.²

მომხმარებელი სესხის დაფარვასაც ისეთივე პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, როგორც სესხის აღებას. მომხმარებლების მიერ

აღებული სესხების შესახებ ინფორმაცია სპეციალურ მონაცემთა ბაზაში ინახება და მის **საკრედიტო ისტორიას** ქმნის, რაც ფინანსური ორგანიზაციებს აჩვენებს, თუ რამდენად დროულად ფარავდა მომხმარებელი წარსულში სესხებს და რამდენად დიდ რისკთან არის დაკავშირებული ამ ადამიანისთვის ფულის სესხება. სწორედ ამიტომ, თითოეული მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, იზრუნოს საკუთარ საკრედიტო ისტორიაზე - პასუხისმგებლობით აილოს სესხი, დროულად დაფაროს ვალდებულებები და პერიოდულად ამოწმოს საკუთარი საკრედიტო ისტორია, რათა დარწმუნდეს, რომ მასში მოცემული მონაცემები ზუსტი და განახლებულია და რომ სრული ინფორმაცია აქვს საკუთარი სასესხო ვალდებულებების შესახებ.

გარდა ამისა, მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, კარგად გაიაზროს, თუ რაში მდგომარეობს თავდების პასუხისმგებლობა და მხოლოდ მაშინ დათანხმდეს სხვისი სესხის თავდებობას, თუ გაცნობიერებული აქვს, რომ ნამდვილად შეძლებს სესხის დაფარვას იმ შემთხვევაში, თუ თავად მსესხებელი ვერ/არ შეასრულებს ამ ვალდებულებას. სესხებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენ შესაბამის ბროშურაში უფრო დეტალურად ვსაუბრობთ.

რომ შევაჯამოთ, სესხება ძალზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა და მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4422157>

მომხმარებელმა გაიაზროს კრედიტის საჭიროება, ყურადღებით აწონ-დაწონოს საკუთარი შესაძლებლობები (რა მოცულობის და რამდენად სტაბილური შემოსავალი აქვს, რამდენი ადამიანია მასზე ფინანსურად დამოკიდებული, რა ხარჯების გასტუმრება უწევს ყოველთვიურად და ა.შ.), არ წამოეგოს რეკლამებს და არ დააყენოს დღევანდელი სურვილების დაკმაყოფილება საკუთარი და ოჯახის სამომავლო ფინანსურ კეთილდღეობაზე მალლა.

ხშირად ხდება, რომ არსებული სესხის დასაფარად ადამიანები ახალ სესხს იღებენ, რაც უფრო ართულებს მათ ფინანსურ მდგომარეობას, რამდენადაც იზრდება ფინანსური ვალდებულება. დაიმახსოვრეთ, რომ მიმდინარე სესხების დაფარვის მიზნით ახალი სესხის აღება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ ახალი სესხი ყველა სხვა დანარჩენ ვალდებულებას (მათ შორის, ოვერდრაფტებსა და საკრედიტო ბარათებს) აერთიანებს, რაც მომხმარებელს სესხის გადახდის პროცესს უმარტივებს შენატანის მოცულობის შემცირების ან გაერთიანების გზით.

სამწუხაროდ, შესაძლოა დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც მომხმარებელი ვეღარ ახერხებს სესხის გადახდას. სესხებს, რომელსაც მომხმარებელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი დაგვიანებებით, არასრულად, ან საერთოდ ვერ იხდის, ე.წ. პრობლემურ სესხებს უწოდებენ. ასეთ სესხებს

ფინანსური ორგანიზაციები ხშირად გადასცემენ სპეციალურ ორგანიზაციებს, რომლებსაც პრობლემური აქტივების მართვის (იგივე პრობლემური, ანუ ვადაგადაცილებული სესხების „ამოღების“) კომპანიებს უწოდებენ. გამსესხებელი ორგანიზაციების ნაცვლად ეს კომპანიები უკავშირდებიან მომხმარებლებს და ითხოვენ ვადაგადაცილებული ვალდებულების დაფარვას.

გაითვალისწინეთ, რომ ასეთ კომპანიებს არ აქვთ უფლება, მომხმარებელი დააშინონ, მასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია მომხმარებლის ნებართვის გარეშე სხვა პირზე გასცენ (მაგ. მეგობრებს, მეზობლებს, ან ოჯახის წევრებს დაურეკონ, მომხმარებლის ვალდებულების შესახებ ინფორმაციით მიაწოდონ და მოთხოვონ, რომ მომხმარებელმა სესხი დაფაროს), მომხმარებლის დამსაქმებელს დაუკავშირდნენ და სხვა არაეთიკური და არაკანონიერი ნაბიჯები გადადგან. ამგვარი გარემოებებისგან თავის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლები კარგად იცნობდნენ საკუთარ უფლებებს. დაიმახსოვრეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიმართ დაფიქსირდა არაეთიკური საქციელი, მას უფლება აქვს პრეტენზიით მიმართოს ამავე ორგანიზაციას ან საქართველოს ეროვნულ ბანკს, ხოლო თუ მოხდა მომხმარებლის პერსონალური მონაცემების მართლსაწინააღმდეგოდ დამუშავება (მაგ. მისი სესხის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ოჯახის წევრს), მაშინ

მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს:

www.personaldata.ge

მნიშვნელოვანია, მომხმარებელს ახსოვდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მის მიერ აღებული ვალდებულების დაფარვა მისივე პასუხისმგებლობაა და რეკომენდირებულია, რომ გადახდასთან დაკავშირებით პრობლემების არსებობისას, მაქსიმალურად დროულად ჩააყენოს საქმის კურსში ის ორგანიზაცია, რომლისგანაც ისესხა თანხა. ამ გზით იზრდება შანსი, ფინანსური ორგანიზაცია და მომხმარებელი სესხის გადახდის ისეთ ახალ პირობებზე შეთანხმდნენ, რომლებიც უკეთ შეესაბამება მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას.

ამასთან, თუ ფინანსური ორგანიზაცია მიმართავს სასამართლოს, რათა მოითხოვოს მომხმარებელზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, მომხმარებელმა თავი არ აარიდოს სასამართლოზე გამოცხადებას. ხშირად მომხმარებლებს ერთგვარი შიში აქვთ, ზოგჯერ კი ფიქრობენ სასამართლოზე გამოუცხადებლობით ფინანსურ პრობლემებს თავს აარიდებენ, რეალურად კი სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით მომხმარებელს უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა, თავიდან აირიდოს დამატებითი ფინანსური და სამართლებრივი პრობლემები. გულახდილობა

და საკუთარი ვალდებულებების მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება ზრდის ორმხრივი ინტერესების დაცვით შეთანხმების მიღწევის შანსს.

■ დამოგვა

მომხმარებელს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები ეკისრება არა მხოლოდ სესხის აღების, არამედ თანხის დაზოგვის დროსაც.

გონივრულად დაზოგვა ფინანსური სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ფინანსური მიზნების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, ყოველთვის უნდა ეცადოთ გარკვეული ნაწილი გადადოთ, რათა დაზოგვა დროთა განმავლობაში ჩვევად იქცეს. თუ თქვენ გაქვთ დასახული კონკრეტული მიზანი - მაგალითად რაიმე ნივთის შეძენა ან განათლების დაფინანსება - ამ მიზნის მიღწევის გზას მხოლოდ სესხება არ წარმოადგენს. სესხების ნაცვლად, შეგიძლიათ თქვენი მიზნის შესრულება სამომავლოდ გადადოთ, საჭირო თანხა კი თქვენი შემოსავლებიდან დაზოგოთ.

დანაზოგების გაკეთება საბანკო დეპოზიტზე შეგიძლია, რომელსაც ბანკი გარკვეული პერიოდულობით არიცხავს საპროცენტო სარგებელს. თუ მომხმარებელმა გადაწყვიტა დეპოზიტის გახსნა, ისევე, როგორც სესხის აღების დროს, ის წინასწარ კარგად უნდა გაეცნოს ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, როგორცაა

დეპობიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, ვადა, დეპობიტზე თანხის დამატების ან გატანის შესაძლებლობა და ა.შ.

დეპობიტის გახსნას შესაძლოა უკავშირდებოდეს სხვადასხვა ხარჯიც, როგორცაა ანგარიშის მომსახურების საკომისიო, თანხის შეტანის ან გატანის საკომისიო და ა.შ. ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით ამ პირობების მომხმარებლისთვის გაცნობის ვალდებულება ბანკებს ეკისრებათ. თუმცა, ამ პირობების კარგად გააზრება და საჭიროების შემთხვევაში შევითხვების დასმა, საკუთარი მიზნებისა და შესაძლებლობების აწონ-დაწონვა და დაზოგვის რეგულარული რჩევის გამოიმუშავება - ეს უკვე მომხმარებლის პასუხისმგებლობაა.

დეპობიტის შერჩევამდე მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, გააანალიზოს საკუთარი ფინანსური მიზანი და იმის მიხედვით შეარჩიოს დეპობიტი. მაგალითისთვის, თუ ადამიანი მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად თანხას აგროვებს, ამისთვის აჭობებს თანხა **ზრდად** (ვადიან) ანაბაზე შეიტანოს, რომელიც საშუალებას მისცემს დანაზოგს პერიოდულად დამატოს თანხა, ხოლო თუ თანხას არა რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად, არამედ ყოველდღიური საჭიროებებისთვის ინახავს, ამასთან, ფიქრობს რომ პერიოდულად შესაძლოა თანხის გამოტანაც დასჭირდეს, მაშინ აჭობებს **მოთხოვნამდე** (შემნახველი) ანაბარი შეარჩიოს.

დეპობიტის ტიპის შერჩევის შემდეგ მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, შეასრულოს პროდუქტთან დაკავშირებული პირობები და დააკვირდეს საკუთარ ფინანსურ ქცევებს. მაგალითისათვის, ზრდადი ტიპის დეპობიტზე შესაძლოა მოთხოვნილი იყოს თანხის აუცილებელი წესით გარკვეული პერიოდულობით დამატება. თუ მომხმარებელი ყურადღებას არ მიაქცევს ასეთ მნიშვნელოვან პირობას და არ შეასრულებს მას, დეპობიტი ჩაითვლება დარღვეულად და, შედეგად, მომხმარებელს არ დაერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი. შესაბამისად, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ მიაღწიოს იმ მიზანს, რისთვისაც დეპობიტზე ზოგავდა თანხას.

თუ ადამიანს უკვე აქვს გარკვეული საწყისი თანხა და სურს მიიღოს მაქსიმალური საპროცენტო სარგებელი, მაშინ მას შეუძლია თანხა სტანდარტულ ვადიან დეპობიტზე განათავსოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის დეპობიტის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, თუ მომხმარებელი დარწმუნებულია, რომ თანხის ვადაზე ადრე გატანა არ დასჭირდება, რადგან დანაზოგის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, მისი ანაბრის ხელშეკრულება დაირღვევა და მოსალოდნელი მაქსიმალური განაკვეთის ნაცვლად, მხოლოდ მცირედ სარგებელს თუ მიიღებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ არსებობენ ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც

ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით გაცილებით მაღალ საპროცენტო სარგებელს ანუ შემოსავალს ჰპირდებიან მომხმარებლებს და სარგებლის მიღების სანაცვლოდ მომხმარებლებს ხშირად სთხოვენ კომპანიაში გაანვერიანონ თავიანთი მეგობრები, ან რაიმე პროდუქცია საბაზრო ფასზე გაცილებით მაღალ ფასად გაყიდონ. გაითვალისწინეთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში, **მაღალ დაპირებულ სარგებელს მაღალი რისკიც უკავშირდება**, აღნიშნული ტიპის შეთავაზებები კი ხშირად თაღლითურ სქემებს წარმოადგენენ! თაღლითური სქემებისა და ფინანსური პირამიდების შესახებ ჩვენ შესაბამის ბროშურაში უფრო დეტალურად ვსაუბრობთ. საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს მკაცრ მოთხოვნებს უწესებს, რომლებიც მომხმარებლების დანაზოგების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. ამასთან, 2018 წლიდან მოქმედებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემაც, რომლის ფარგლებშიც, თითოეული ფიზიკური პირის მიერ თითოეულ კომერციულ ბანკში, თითოეულ ანგარიშსა და დეპოზიტზე (მათ შორის, მიმდინარე, ვადიანი, მოთხოვნამდე) არსებული თანხა ჯამში 5,000 ლარამდე ავტომატურად დაზღვეულია³, რაც მომხმარებლების დანაზოგების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამას გარდა, 2018 წლიდან, ყველა ფინანსური შუამავალი, რომელიც ფულად სახსრებს იზიდავს 20-ზე მეტი პირისგან, ვალდებულია

დარეგისტრირდეს ეროვნულ ბანკში, რაც მომხმარებლების დანაზოგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

სხვა ოპერაციები

თანხის სესხებისა და ფულის დაზოგვის გარდა, მომხმარებელმა სხვა ოპერაციების განხორციელების დროსაც უნდა გაიაზროს საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობები.

თანამედროვე სამყაროში უმრავლესობა ჩვენგანი საგადახდო ბარათებით სარგებლობს, მაგრამ ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობები ეკისრება ბარათის გამოყენებისას და როგორ უნდა დაიცვას მისი უსაფრთხოება. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ დაუშვებელია როგორც უშუალოდ საგადახდო ბარათის, ისე მისი მონაცემების - მაგ. ბარათის 16-ნიშნა ნომერი, უსაფრთხოების (CVV) კოდი და მოქმედების ვადა - სხვა პირებისთვის, მათ შორის, მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის გახდობა, მათ შორის ინტერნეტით კომუნიკაციის დროს. არანაკლებ საყურადღებოა საგადახდო ბარათის პინ კოდი, რომელსაც ბარათთან ერთად, დალუქული კონვერტით მხოლოდ პირადად მომხმარებელი იღებს. მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, რომ პინ-კოდი არ დააწეროს ბარათს ან არ შეინახოს ბარათთან ერთად, არ დატოვოს ბარათი

³ 2020 წლის 1-ლი ივლისიდან იგეგმება დაზღვეული თანხის მოცულობის ზრდა

უყურადღებოდ, ინტერნეტით რაიმეს შეძენისას სანდო ვებგვერდებით ისარგებლოს და, საუკეთესო შემთხვევაში, ონლაინ შესყიდვებისთვის ცალკე ბარათი იქონიოს. იმ ორგანიზაციაში, რომელიც მომხმარებელს საგადახლო ბარათს გადასცემს, აუცილებლად უნდა გააცნოს მას ბარათით სარგებლობის წესები და დაკავშირებული ხარჯები (მაგ. თანხის განაღდებას საკომისიო); მომხმარებელი კი უნდა გაუფრთხილდეს ბარათს და ამოწმოს sms-ით მიღებული შეტყობინებები საკუთარი ანგარიშიდან განხორციელებული გადახდების შესახებ. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ფიქრობს, რომ მისი ბარათიდან შესაძლოა ხორციელდება თაღლითური ოპერაციები, მან აუცილებლად უნდა მიმართოს ბანკს და მოითხოვოს ბარათის დაბლოკვა. ფინანსური უსაფრთხოების შესახებ ჩვენ შესაბამის ბროშურაში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

მომხმარებელმა საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ვალუტის გადაცვლის/კონვერტაციის დროსაც. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები დამოუკიდებლად ადგენენ ვალუტის ყიდვა/გაყიდვის კურსს და თითოეული მათგანი ვალდებულია საკუთარ მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია როგორც გაცვლითი კურსის, ისე მომსახურების შესაძლო საკომისიოების შესახებ და ეს ინფორმაცია კლიენტისათვის თვალსაჩინო ადგილას (სალაროსთან და

ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფაზე), ადვილად შესამჩნევი შრიფტით განათავსოს.

აღსანიშნავია, რომ თუ ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა აღემატება 3%-ს - ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა ეცნობოს მომხმარებელს. ამასთან, მომხმარებელს აქვს უფლება ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში გააუქმოს ვალუტის გადაცვლის ოპერაცია, თუ ოპერაციის თანხა არ აღემატება 5,000 ლარს. თავის მხრივ, მომხმარებელი ყურადღებით უნდა გაეცნოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შემოთავაზებულ პირობებს, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსს და ვალუტის გადაცვლის ოპერაციასთან დაკავშირებულ შესაძლო საკომისიოს, ადგილზე გადაითვალოს დაბრუნებული თანხა, მოითხოვოს ქვითრის მიღება და, რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში დაუკავშირდეს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე: **0322 406406.**


დაბოლოს, ფინანსური ორგანიზაციის მომსახურებით უკმაყოფილების, ასევე ნებისმიერი გაურკვევლობის წარმოშობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება და, გარკვეულწილად, პასუხისმგებლობაც აქვს, დააფიქსიროს პრეტენზია უშუალოდ მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციასთან ან ეროვნულ ბანკში და მოითხოვოს მისი საკითხის განხილვა. პრეტენზიის დაფიქსირება ხელს შეუწყობს ხარვეზების აღმოჩენასა და აღმოფხვრას, მომხმარებლის


უფლებების დაცვას და ფინანსურ ორგანიზაციასაც დაეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ფინანსური მომსახურების შექმნა და ხელშეკრულების გაფორმება ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმების საგანია. იმავდროულად, შეთანხმების ფარგლებში მხოლოდ ფინანსურ ორგანიზაციას კი არ ეკისრება

გარკვეული ვალდებულებები მომხმარებლის მიმართ, არამედ მომხმარებელსაც ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობები. ამრიგად, ნებისმიერი სახის ფინანსური შეთანხმების დადებაამდე, აუცილებლად უნდა დააზუსტოთ პირობები და დასვათ შეკითხვები, რომ არ დარჩეს გაურკვეველი საკითხები, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ბოლომდე იზიარებთ და ეთანხმებით მის პირობებს.

**საკუთარი უფლებებისა
და პასუხისმგებლობების
ცოდნა აუცილებელია
ფინანსური
კეთილდღეობისთვის!**





საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საბარძივალის კრებულშენის სარეზერვო ფუნქცი

ფულის მართვა და პირადი ბიუჯეტი

ბიუჯეტის შედგენა და მართვა კარგი გზაა საკუთარი ფინანსების გასაკონტროლებლად, ფინანსური მიზნების მისაღწევად და მოულოდნელი სირთულეების თავიდან ასარიდებლად.

ბიუჯეტი - არის დროის გარკვეულ მონაკვეთში მისაღები შემოსავლების, გასაწვეი ხარჯებისა და დანაზღვების გადანაწილების გეგმა. ბიუჯეტის შედგენისა და მართვის პროცესს ბიუჯეტირება ჰქვია. ბიუჯეტს ადგენენ როგორც კომპანიები და სახელმწიფო ორგანიზაციები, ისე ფიზიკური პირები და ოჯახები. ექსპერტთა მოსაზრებით, რაც უფრო ადრეული ასაკიდან იწყება პირადი ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი, ფინანსური გეგმების შედგენა უფრო ადვილად იქცევა ჩვევად. ბიუჯეტის შედგენა, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ნებისმიერ პერიოდზე - მაგ. 1 კვირაზე, 1 თვეზე, 1 წელზე და ა.შ. პირადი და ოჯახის ბიუჯეტი, როგორც წესი, 1-თვიანი პერიოდისთვის დგება, რადგან შემოსავლებისა და ხარჯების უმრავლესობას, როგორც წესი ყოველთვიური ხასიათი აქვს.

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ბიუჯეტის შესადგენად აუცილებელია რთული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ან ფინანსების ცოდნა, ან რომ ბიუჯეტის შედგენა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის არის საჭირო,

ვისაც მაღალი შემოსავალი ან ისეთი ძვირადღირებული ფინანსური მიზანი აქვს, როგორცაა, მაგალითად, სახლის შეძენა.

რეალურად, ბიუჯეტის შედგენა საკმაოდ მარტივია და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი სპეციალური პროგრამის გამოყენება (თუმცა, ამ ტიპის ბევრი უფასო პროგრამა/ აპლიკაცია არსებობს და მათი გამოყენება ძალიან ამარტივებს საქმეს), ბიუჯეტის შედგენა ჩვეულებრივ ფურცელზეც შესაძლებელია, თუკი მიჰყვებით რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, და გამოიყენებთ მარტივ არითმეტიკას.

ამასთან, ბიუჯეტის შედგენა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა და ფინანსური მიზნებისა, რამდენადაც ბიუჯეტი გვეხმარება იმის გაანალიზებაში, თუ როგორ ვანაწილებთ შემოსავალს, რამდენს ვზოგავთ, როგორ შეგვიძლია შევამციროთ არააუცილებელი ხარჯები და მივიღოთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები. მათ შორის, შევამციროთ არასაჭირო ხარჯები. გარდა ამისა, გონივრულად შედგენილი ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მეტი როგორც კონკრეტული მიზნისთვის, ისე გაუთვალისწინებელი მოვლენებისთვის და ვცვალოთ ჩვენი ფინანსური და ხარჯვითი ქცევები იმისთვის, რომ უკეთ გავუმკლავდეთ ნებისმიერ

ფინანსურ მდგომარეობას.

როგორ შევადგინოთ პირადი ბიუჯეტი?

პირადი ბიუჯეტის შესადგენად პირველი ნაბიჯი შერჩეული პერიოდისთვის (მაგალითად, 1 თვისთვის) მთლიანი **საპროგნოზო შემოსავლის** დათვლაა. აიღეთ ფურცელი (ან გახსენით Excel ან შესაბამისი აპლიკაცია) და ჩამოწერეთ თქვენი შემოსავლის საპროგნოზო წყაროები და შესაბამისი თანხები. აქ უნდა გაითვალისწინოთ იმავე პერიოდისთვის მისაღები ყველა სახის შემოსავალი, იქნება ეს მუდმივი თუ სემონური სამუშაოდან მისაღები ხელფასი, რაიმეს გაყიდვით ან გაქირავებით მისაღები შემოსავალი, მოსალოდნელი ფულადი გზავნილი, თუ საჩუქრად მისაღები ფული, სტიპენდია და ჯიბის ფულიც კი.

შემოსავალი შეიძლება იყოს **ფიქსირებული** ან **ცვალებადი**. სამსახურიდან მიღებული ხელფასი და იჯარიდან მიღებული შემოსავალი ფიქსირებული შემოსავლის მაგალითებია; ფულადი გზავნილები (მაგ. საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავისგან გარკვეული პერიოდულობით გადმორიცხული თანხები), მოგებული ან ნაჩუქარი ფული კი - ცვალებადის. გაითვალისწინეთ, რომ ცვალებად და არარეგულარულ შემოსავალზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების

მიღება (მაგ. სესხის აღება) რისკებს შეიცავს და არ არის მიზანშეწონილი.

დაბოლოს, ალსანიშნავია, რომ დასაქმებული ადამიანები შემოსავლის 20%-ს საშემოსავლო გადასახადის სახით იხდიან - ანუ, ხელზე საკუთარი ხელფასის 80%-ს იღებენ და ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილებაც სწორად ხელზე ასაღები ხელფასის საფუძველზე უნდა მიიღონ.

მას შემდეგ, რაც ჩამოწერთ შემოსავლის ყველა წყაროს, დაატამეთ ისინი. ეს თქვენი მთლიანი შემოსავალია.

შემოსავლების ანალიზის შემდეგ, ჩამოწერეთ ყოველთვიური **საპროგნოზო ხარჯები**. ადამიანებს ყოველთვიურად მთელი რიგი ხარჯები აქვთ: იხდიან კომუნალურ (ელექტროენერჯის, წყლის, ბუნებრივი აირის, ინტერნეტის, ტელევიზიის და ა.შ.) გადასახადებს, სურსათის, საწვავის (თუ გყავთ ავტომობილი) და ტრანსპორტის ხარჯებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო და გართობა-დასვენებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც განსხვავდება ოჯახების სიდიდისა და საჭიროებების მიხედვით. მეტი სიმარტივისთვის, ხარჯები შეგიძლიათ 2 ნაწილად დაყოთ:

■ **ფიქსირებული ხარჯები** - ეს არის ხარჯები, რომლებიც

პერიოდულად, მაგალითად, თვიდან თვემდე თითქმის უცვლელია: ზოგიერთი კომუნალური გადასახადი - მაგ. ინტერნეტის ან ტელევიზიის ფიქსირებული გადასახადი, ბინის ქირა (თუ სახლს ქირაობთ), სწავლის გადასახადი, სესხის (თუ სესხი გაქვთ) და დაზღვევის (თუ დაზღვევით სარგებლობთ) შენატანი, ა.შ.

■ **ცვალებადი ხარჯები** - ეს არის ხარჯები, რომლებიც პერიოდულად, მაგალითად, თვიდან თვემდე იცვლება, მაგ. ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯიის გადასახადი, რომელიც დამოკიდებულია სეზონსა და მოხმარების ინტენსივობაზე, ასევე სხვა ხარჯები, რომლებიც იცვლება თქვენი გემოვნების, ინტერესებისა და ცხოვრების სტილის მიხედვით - მაგ. ახალი ნივთის ან ტანსაცმლის შექენასთან, გართობასთან, მოგზაურობასთან, სპორტთან და დღესასწაულებთან დაკავშირებული ხარჯები. აღსანიშნავია, რომ სურსათის ხარჯიც ცვალებადი ხარჯია. ცხადია, მომავალ თვეში გასაწევი ცვალებადი ხარჯების წინასწარ გათვლა რთულია; ამიტომ, გირჩევთ საორიენტაციოდ აიღეთ ასეთი ხარჯების საშუალო მარჯვენებელი - სხვა სიტყვებით, დაფიქრდით, თუ რა ნივთებს/ მომსახურებებს ყიდულობთ გარკვეული პერიოდულობით, დაადგინეთ მათი საშუალო ჯამური ფასი და შემდეგი თვის განმავლობაში აკონტროლეთ ცვალებადი ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხების

ოღენობა.

მას შემდეგ, რაც ჩამოწერთ საკუთარ ხარჯებს, დაატამეთ ისინი და მიიღებთ მთლიან ხარჯს.

შემოსავლებისა და ხარჯების დაჭამების შემდეგ, განსაზღვრეთ, თუ რა თანხის დაზოგვას გეგმავთ შემდეგი თვის განმავლობაში - ეს თქვენი **საპროგნოზო დანაზოგია**. მიუხედავად შემოსავლის ოღენობისა, ყოველთვის უნდა ეცადოთ მისი ნაწილი გადადოთ, რათა დაზოგვა ჩვევად იქცეს, შექმნათ დანაზოგი სხვადასხვა მიზნებისთვის - სწავლისთვის, ავტომობილისთვის, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის და სხვა - და ამ გზით მიაღწიოთ ფინანსურ სტაბილურობას. ექსპერტები გვირჩევენ, შემოსავლის მიღების შემდეგ პირველ რიგში გავაკეთოთ დანაზოგი, ანუ „გადავუხადოთ საკუთარ თავს“ („Pay yourself first“), და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყოთ ხარჯვა. ეს დაგვეხმარება წინასწარ დავფიქრდეთ დანაზოგების გაკეთებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მთლიანი შემოსავალი დავხარჯოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გავგახსენდეს, რომ ამ თვეში დანაზოგი არ გავვიკეთებია.

ახლა კი, მთლიან შემოსავალს გამოაკელით მთლიანი ხარჯი და დანაზოგი - მიიღებთ ნაშთს, ანუ ბალანსს.

■ თუ ნაშთი 0-ს უდრის, ეს ნიშნავს, რომ თქვენ გონივრულად ანაწილებთ საკუთარ

შემოსავალს და დანაზოგსაც აკეთებთ, რაც დაგეხმარებათ თქვენი მიზნების მიღწევაში.

■ თუ ნაშთი 0-ზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ თქვენი ბიუჯეტი „პროფიციტულია“ და თვის ბოლოს „თავისუფალი“ თანხა გრჩებათ, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მოულოდნელი ხარჯების დასაფარად, ქველმოქმედებისთვის, ან დანაზოგის გასაზრდელად.

■ თუ ნაშთი 0-ზე ნაკლები, ანუ თქვენი ხარჯები და დანაზოგი შემოსავალს აჭარბებს, ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი „დეფიციტურია“ და ფინანსური სირთულეები გარდაუვალია. ასეთ დროს, თქვენ მოგიწევთ გადახედოთ საკუთარ ბიუჯეტს, შეეცადოთ შეამციროთ არააუცილებელი ხარჯები და შესაბამისად ცვალოთ თქვენი ქცევები. მაგ: ყოველდღე სადილის კაფეში ყიდვის ნაცვლად სახლიდან წაიღოთ წასახემსებელი; საკანცელარიო ნივთებს, ტექნიკასა და ტანისამოსს გაუფრთხილდეთ, რომ ხშირად არ დაგჭირდეთ მათი ჩანაცვლება, და ა.შ.

მას შემდეგ, რაც შეადგენთ თვის საპროგნოზო ბიუჯეტს, მნიშვნელოვანია, რომ აკონტროლოთ, თუ რამდენად მიჰყვებით მას პრაქტიკაში. ამ მიზნით, **რეალური შემოსავლები, ანუ ფაქტობრივი** ხარჯები და დანაზოგები შეგიძლიათ შემდეგ გვერდზე მოცემულ პირადი ბიუჯეტის ფორმის შესაბამის სვეტში - „ფაქტობრივი ბიუჯეტი“ -

ჩამოწეროთ.

თვის განმავლობაში პერიოდულად შეადარეთ ერთმანეთს საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები. მათ შორის არსებული სხვაობა ჩაწერეთ პირადი ბიუჯეტის ფორმის შესაბამის სვეტში. საპროგნოზო და ფაქტობრივ ბიუჯეტებს შორის მცირე განსხვავებების ქონა ბუნებრივი და, ხშირ შემთხვევაში, გარდაუვალიც კია. მაგრამ თუ მათ შორის მნიშვნელოვან განსხვავებებს აღმოაჩინოთ, დაფიქრდით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

მაგალითად, თუ ფაქტობრივი ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს საპროგნოზოს, ეს იმიტომ მოხდა, რომ წინასწარ სრულად ვერ გათვალეთ ის ხარჯები, რომელთა განწევაც თვის განმავლობაში მოგიწევდათ, თუ იმიტომ, რომ ზედმეტად ბევრი არააუცილებელი ხარჯი გაქვთ? ან თუ ამ თვეში ვერ მოახერხეთ წინასწარ განსაზღვრული თანხის დაზოგვა, ამის მიზეზი საპროგნოზო დანაზოგში გადაჭარბებული თანხის ჩაწერა ან შემოსავლის არასწორად გადანაწილება ხომ არ იყო?

საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შედარების გზით, უკეთ დაინახავთ, თუ როგორ მართავთ ფულს და არის თუ არა რაიმე შესაცვლელი თქვენს ფინანსურ ქცევებში.

როგორც აღვნიშნეთ, ბიუჯეტის შედგენა როგორც ჩვეულებრივ ფურცელზე, ისე Excel-ის ან

რომელიმე უფასო პროგრამის ან აპლიკაციის დახმარებითაც შეგიძლიათ. იხილეთ პირადი ბიუჯეტის სტანდარტული ფორმა მომდევნო გვერდზე.

რჩევები პირადი ბიუჯეტის შესადგენად

ბიუჯეტის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

1. ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოთ ყველა შემოსავალი და ყველა ხარჯი;
2. ბიუჯეტი უნდა იყოს მაქსიმალურად რეალური და მიღწევადი;
3. მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, ყველა შემთხვევაში უნდა შეეცადოთ რეგულარულად დაზოგოთ თუნდაც მცირე თანხა.

არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს წესი“, რომელიც მიგვითითებდა, თუ შემოსავლის კონკრეტულად რა წილი უნდა მიემართოს ბიუჯეტის ამა თუ იმ მუხლის დასაფარად. უფრო მეტიც, იმის მიხედვით, თუ რა არის უახლოეს მომავალში თქვენი ფინანსური მიზანი და პრიორიტეტი (მაგ. სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად თანხის დაზოგვა, ან საცხოვრებლად ცალკე გადასასვლელად ფულის შეგროვება), აუცილებლად შეიცვლება შემოსავლის წილი, რომელიც ხარჯებსა და დანაზოგებზე გადანაწილდება. თუმცა, არსებობს რამდენიმე ზოგადი პრინციპი, რომლითაც

შეგიძლიათ ბიუჯეტის შედგენისას და ანალიზისას იხელმძღვანელოთ:

■ უმჯობესია შემოსავლის 10-20% დაზოგოთ, რამდენადაც სწორედ დანაზოგი დაგეხმარებთ გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვაში, ფინანსური მიზნების (როგორცაა, მაგ. ახალი კომპიუტერის შეძენა) და ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში. თუ დანაზოგს ბანკში, დეპოზიტზე შეინახავთ, მაშინ მასზე საპროცენტო სარგებელიც დაგერიცხებათ და დროთა განმავლობაში მოგებას ნახავთ. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების რჩევით, შემოსავლის მქონე ადამიანებმა ისეთი გაუთვალისწინებელი უსიამოვნო შემთხვევებისთვის, როგორცაა სამსახურის დაკარგვა, დანაზოგის სახით 3-6 თვის ხელფასის შესაბამისი მოცულობის თანხა უნდა გადადონ. დაზოგვასთან ერთად გასათვალისწინებელია ინვესტიციებიც. ინვესტირება მოგების ან სხვა სამომავლო სარგებლის მიღების მიზნით თანხის დაბანდებას ნიშნავს. ინვესტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც რომელიმე კონკრეტული კომპანიის განვითარებაში, ასევე საკუთარ განათლებაში დაბანდებათ თანხა, რამდენადაც ის სამომავლოდ ჩვენსავე კარიერულ ზრდაში დაგვეხმარება.

■ შემოსავლის 40-50%-მდე შესაძლებელია მიემართოს აუცილებელი ხარჯების დასაფარად, როგორცაა,

პირადი ბიუჯეტი

	საპროგნოზო ბიუჯეტი	ფაქტობრივი ბიუჯეტი	სხვაობა
შემოსავალი			
სამსახური / ხელფასი			
საჩუქარი			
სტიპენდია			
სხვა...			
მთლიანი შემოსავალი:			
ხარჯი			
აუცილებელი ხარჯები			
საკვები			
ტრანსპორტი			
განათლება			
სხვა...			
არააუცილებელი ხარჯები			
მოგზაურობა			
კინო/თეატრი			
საჩუქარი სხვისთვის			
სხვა...			
მთლიანი ხარჯი:			
დანაზოგი:			
ბალანსი (შემოსავალი-ხარჯი-დანაზოგი):			

გაითვალისწინეთ, რომ ბიუჯეტის ფორმატი მოქნილია, და ის თავისუფლად შეგიძლიათ მოარგოთ თქვენ ფინანსურ მდგომარეობასა და მიზნებს (მაგ. დაამატოთ ან მოაკლოთ შემოსავლისა და ხარჯების მუხლები).

ბინის ქირა, კომუნალური გადასახადები, საკვები, ჯანმრთელობის ხარჯები და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად, აუცილებელი ხარჯების წილი შეიძლება შემცირდეს.

■ შემოსავლის 30-40% კი შესაძლებელია იყოს თავისუფლად განსაკარგი თანხა, რომელიც შეგიძლიათ საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად დახარჯოთ (მაგ. იმოგზაუროთ, შეიძინოთ ახალი ვიდეო თამაში), თანაც ისე, რომ არც სინდისის ქენტანამ შეგაწუხოთ და არც ფიქრებმა იმაზე, რომ უფრო ეფექტურად შეგეძლოთ თანხის გამოყენება. ექსპერტების რჩევით, **არაუცილებელი ხარჯების** განწევა ღირს მას შემდეგ, რაც დაფარავთ აუცილებელ ხარჯებს და თუნდაც მცირე დანაზოგს გააკეთებთ. თუ ამის სურვილი და შესაძლებლობა გაქვთ, თავისუფლად განსაკარგი თანხის გარკვეული ნაწილი დანაზოგსაც შეგიძლიათ დაამატოთ.

რომ შევაკამოთ, პირადი ბიუჯეტი გეხმარებათ აკონტროლოთ თუ რაში ხარჯავთ ფულს, დაისახოთ მიზნები და დაზოგოთ თანხა მათ მისაღწევად, და თავიდან აირიდოთ ფინანსური სირთულეები. საწყის ეტაპზე, ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი შეიძლება რთულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის ნელ-ნელა ჩვევად იქცევა და ძალიან მალე დაინახავთ მის სარგებლიანობასაც. ოჯახის ბიუჯეტის შედგენა,

პირადი ბიუჯეტის შედგენასთან შედარებით რთულია, რადგან ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ოჯახის თითოეული წევრის შემოსავლები და ხარჯები, ამიტომ, ოჯახის ბიუჯეტის შედგენაში უმჯობესია ოჯახის ყველა წევრმა მიიღოს მონაწილეობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა შეიცვალოს - მაგ. გაიზარდოს შემოსავლები (მაგ. თუ სამსახურში დაწინაურდით) ან ხარჯები (მაგ. თუ ცალკე გადახვედით საცხოვრებლად), და პირიქით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არამხოლოდ ფინანსურად მზად იყოთ მსგავსი შემთხვევებისთვის, არამედ იყოთ მოქნილნი და გარემოებების შესაბამისად ცვალოთ თქვენი ბიუჯეტიც, რათა მან უკეთ ასახოს არსებული ფინანსური მდგომარეობა. გახსოვდეთ, რომ ბიუჯეტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამოსადეგი, თუკი მას ყურადღებით და რეალურად ადგენთ და მიჰყვებით.

რჩევები ფულის გონივრულად მართვისათვის

- არ შეიძინოთ ისეთი ნივთები, რომლებიც ზედმეტად ძვირია ან არ გჭირდებათ და არასოდეს შეეცადოთ სხვებზე შთაბეჭდილების ფულით მოხდენას;
- საყიდლებზე ყოველთვის წინასწარ მომზადებული

ჩამონათვალით წადით და სანამ რაიმეს შეიძენდეთ, ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა პროდუქტი და მათი ფასი;

- დაზოგვის ჩვევის გამომუშავება პატარ-პატარა ნაბიჯებით შეიძლება. მაგალითად, ყოველი დღის ბოლოს მორჩენილი ხურდები შეგიძლიათ ყულაბაში ჩაყაროთ, ყულაბას კი ზემოდან თქვენი ფინანსური მიზნის დასახელება - მაგ. ახალი კომპიუტერი - დააწეროთ;

- ისარგებლეთ ფასდაკლებებითა და სპეციალური შემოთავაზებებით, თუმცა წინასწარ ყურადღებით გაეცანით მათ პირობებს;

- რაციონალურად მოიხმარეთ წყალი, გამორთეთ ელექტროენერჯია, როდესაც ოთახს ტოვებთ და გაუფრთხილდით ბუნებრივ რესურსებს, რათა დაზოგოთ თანხა და გაუფრთხილდეთ გარემოს;

- ბიუჯეტის შედგენისას დაფიქრდით, რა შენაძენის გაკეთებას აპირებთ უახლოეს მომავალში (მაგ. ველოსიპედის ყიდვას, სამოგზაუროდ წასვლას), რა თანხა დაგჭირდებათ ამ თანხის შესაგროვებლად და დაიწყეთ დაზოგვა კონკრეტული მიზნისთვის;


- გაითვალისწინეთ, რომ არსებობს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური მიზნები. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა შესაძლოა ერთ წელზე ნაკლებ დროსთან


და შედარებით ნაკლებ ხარჯთან არის დაკავშირებული, ხოლო გრძელვადიანი მიზნების - ერთ ან რამდენიმე წელთან და შედარებით მაღალ ხარჯთან. გათვალეთ, თუ რა დრო დასჭირდება თქვენი მიზნისთვის საჭირო თანხის დაზოგვას და წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი;

- გააანალიზეთ არასაჭირო ხარჯები, რომლებიც წარსულში გაგიწევიათ (მაგ. თუ შეგიძენიათ საკანცელარიო ნივთები ან ტექნიკა, რომელიც არ გამოგიყენებიათ, ან აღმოგიჩენიათ, რომ თქვენთვის გამოუსადეგარია) და ისწავლეთ საკუთარ შეცდომებზე;

- თუ უკვე გაქვთ ანგარიში ბანკში და მიმდინარე ანგარიშზე გერიცხებათ შემოსავალი ან ჯიბის ფული, მაშინ შეგიძლიათ, რომ გახსნათ დეპოზიტი და გაააქტიუროთ ავტომატური გადარიცხვის მომსახურება, რომლის დახმარებითაც ბანკი თქვენი მიმდინარე ანგარიშიდან თქვენს დეპოზიტზე ყოველთვიურად ავტომატურად გადარიცხავს თანხას. ეს დაგეხმარებათ თანხის დაზოგვაში და დანაზოგზე მეტი სარგებლის მიღებაში.

გისურვებთ წარმატებას კიტადი ფინანსების მართვაში!





სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საპარლამენტო კრიზისების სარეზერვო ფონდი

სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტი - ეს არის დროის გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში) სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის ერთობლიობა. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების მიერ გადახდილი გადასახადები, გრანტები, და სხვა შემოსავლები.

სახელმწიფო კრებს გადასახადებს და შემდეგ ახდენს ამ რესურსის მართვას, ანუ განკარგვას. ეს გულისხმობს აღნიშნული რესურსის მოხმარებას საზოგადოებისთვის სასარგებლო სფეროების განვითარებისთვის - როგორცაა, მაგ. განათლება, მეცნიერება, თავდაცვა და უსაფრთხოება (პოლიცია, ჯარი), ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა - და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მომსახურებების უზრუნველყოფა, კერძოდ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის (გზების, ხიდების) განვითარება და მოვლა-პატრონობა, სასამართლოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ა.შ.

არსებობს **საერთო-სახელმწიფოებრივი** და **ადგილობრივი** გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გადახდა სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ასეთი გადასახადებია:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადების გადახდა კი, როგორც სახელი მიგვითითებს, სავალდებულოა მხოლოდ კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის (ანუ ქალაქის და რაიონის) ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადების ოდენობას თვითონ ადგილობრივი თვითმმართველობები განსაზღვრავენ - ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ოდენობის ადგილობრივი გადასახადი შეიძლება შეგვხვდეს.

ადგილობრივი გადასახადის სახეობაა ქონების გადასახადი.

მოდი, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული გადასახადი, რომელიც საქართველოში არსებობს:

საშემოსავლო გადასახადის ოდენობა შემოსავლის ტიპზე დამოკიდებული და შემოსავლის 5-20%-ს შეადგენს და მას იხდიან ფიზიკური პირები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით იღებენ შემოსავალს. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები, უმრავლეს შემთხვევაში 20%-ით იბეგრება, ეს ნიშნავს, რომ თუ ადამიანი მუშაობს და მისი ხელფასი 1,000 ლარია, მისი 20%, ანუ 200 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაირიცხოს გადასახადის სახით, დანარჩენი თანხა კი შეუძლია საკუთარი სურვილისებრ განკარგოს. საშემოსავლო გადასახადების მოკრების პროცესის გამართვების მიზნით, დასაქმებული ადამიანის საშემოსავლო გადასახადს მის მაგივრად უმეტესწილად მისი ხელფასიდანვე იხდის ის ორგანიზაცია, სადაც დასაქმებულია ეს ადამიანი, და საიდანაც მას ერიცხება შემოსავალი.

მოგების გადასახადს, საშემოსავლო გადასახადისგან განსხვავებით, ის იურიდიული პირები, ანუ კომპანიები

იხდიან, რომლებმაც ბიზნეს ოპერაციებიდან მოგება მიიღეს. ეს გადასახადი მოგების 15%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, ბიზნესის წახალისების მიზნით, სახელმწიფომ შემოიღო მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი, ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც გულისხმობს, რომ თუ ბიზნესი მოგების სახით მიღებული თანხის რეინვესტირებას მოახდენს იმავე ბიზნესში (ანუ თუ ამ ფულს ისევ ბიზნესში ჩააბრუნებს და მის განვითარებას მოახმარს), მაშინ ის გათავისუფლდება მოგების გადასახადისაგან. გადასახადის გადახდა ბიზნესს მოუწევს თანხის მხოლოდ იმ ოდენობაზე, რომელსაც კომპანიის მფლობელებზე, ანუ აქციონერებზე დივიდენდის სახით გასცემს.

დღგ ანუ **დამატებული ღირებულების გადასახადი** არაპირდაპირი გადასახადია, რომლის ოდენობა 18%-ია. დღგ-ს ღირებულება შედის თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასში, რომელსაც იხდის საბოლოო მომხმარებელი.

მაგალითად, თუ ყიდულობთ რძეს, რომელიც 4 ლარი ღირს, ეს ფასი უკვე მოიცავს დღგ-ს.

აქციის გადასახადი, დღგ-ს მსგავსად, არაპირდაპირი გადასახადია, რომლის გადახდაც სავალდებულოა გარკვეული სახეობის პროდუქციის ან მომსახურების წარმოების, გაყიდვის ან შექმნის შემთხვევაში. ასეთებს მიეკუთვნება ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ნავთობპროდუქტები, ავტომობილები, სამორინეები/სათამაშო ბიზნესი და სხვა.

იმპორტის გადასახადი ეკისრებათ იმ პირებს, რომლებიც ახდენენ გარკვეული პროდუქტის ან

მომსახურების უცხო ქვეყნიდან საქართველოში გაყიდვის მიზნით შემოტანას, ანუ იმპორტს. იმპორტის გადასახადი შეიძლება შეადგენდეს 5%-ს, 12%-ს ან ფიქსირებულ გადასახადს, და მისი ზუსტი ოდენობა დამოკიდებულია იმპორტირებული პროდუქტის ან მომსახურების რაოდენობასა და სახეობაზე.

ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადია, რამდენადაც მისი საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთის ფარგლებში შემოღების უფლება აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობებს (ქალაქებსა და რაიონებს), და მისი გადახდა სავალდებულოა იმ პირების მიერ, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ფლობენ ქონებას.

ქონების გადასახადის გადამხდელია იურიდიული პირი, რომლის საკუთრებაშიც არის უძრავი ქონება (მაგ. შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და ა.შ.) და ფიზიკური პირი, რომლის პირადმა ან ოჯახის წლიურმა შემოსავალმაც გადააჭარბა 40,000 ლარს და რომელიც ფლობს უძრავ ქონებას. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ასევე დაწესდა ქონების გადასახადი ავტომობილებზე და ამ გადასახადს ავტომობილის მფლობელები 2018 წლიდან იხდიან.

ქონების გადასახადის განაკვეთის ოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ქონების ადგილმდებარეობისა და გადამხდელის ოჯახის შემოსავლის მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ვრცელდება მნიშვნელოვანი შეღავათებიც; მაგალითისთვის, მაღალმთიან რეგიონებში არსებულ სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთებზე მის მფლობელებს უწევთ ძალიან მცირე (ან საერთოდ არ უწევთ) გადასახადის გადახდა.

გაითვალისწინეთ, რომ გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაეკისრებათ ჯარიმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადასახადების გარდა, ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი წყაროებია ასევე გრანტები და სხვა ტიპის შემოსავლები.

გრანტი - ეს არის სახელმწიფოს მიერ დონორი ორგანიზაციისგან სხვადასხვა მიზნობრიობით უსასყიდლოდ მიღებული სახსრები. გრანტის მიზნობრიობა შეიძლება იყოს, მაგალითად, რეგიონული განვითარება, ჯანდაცვა, პროფესიული განათლება, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. სესხისგან განსხვავებით, გრანტის გამცემს სახელმწიფო ფულს არ უბრუნებს.


სხვა შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი კი უჭირავს შემოსავლებს, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებიდან მიიღება (მაგალითად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (როგორცია ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები, ა.შ.) და ჯარიმებს, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქტივების გაყიდვიდან (პრივატიზაციიდან, ანუ სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლიდან) მიღებულ შემოსავლებს.


როგორ ღებავს სახელმწიფო ბიუჯეტი?

ყოველი წლის ბოლოს ქვეყნის მთავრობა განსაზღვრავს მომავალი წლის ბიუჯეტსა და პრიორიტეტებს და,

შესაბამისად იმას, თუ რა ოდენობის ფინანსური რესურსი უნდა შემოვიდეს გადასახადებიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი გრანტებიდან და სხვა წყაროებიდან, რა თანხა უნდა დაიხარჯოს კონკრეტული სფეროების, როგორცია განათლება, მედიცინა, ინფრასტრუქტურა და ა.შ. - დასაფინანსებლად. მაგალითისთვის, 2019 წლის ბიუჯეტის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება იყო: ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი, განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება, სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, სწორედ ამ მიმართულებების გასავითარებლად იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უწევს. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ბიუჯეტს ამტკიცებს და შემდეგ, შესრულების მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი. დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ შეგიძლიათ ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე იხილოთ: www.mof.ge

გადასახადებში გათვითცნობიერებული ადამიანი პირად ბიუჯეტსაც უკეთ მართავს!





სესხება და მასთან დაკავშირებული კასუხისმგებლობები



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საპროექტო კომპლექსის სარეაბილიტაციო ფონდი

რა არის სესხი?

სესხი, იგივე კრედიტი - ეს არის თანხა, რომელსაც ერთი პირი მეორისგან იღებს ვალის სახით, იმ პირობით, რომ წინასწარ შეთანხმებულ ვადაში უკან დაუბრუნებს ამ თანხას და დამატებით, მასზე დარიცხულ სარგებელსაც გადაუხდის. სესხის პირობები ხელშეკრულებაში იწერება, რომელსაც გამსესხებელი და მსესხებელი მატერიალური ხელმოწერით ან ელექტრონული ფორმით (მაგ. ინტერნეტით) ადასტურებენ. სესხებს გასცემენ როგორც ფინანსური ორგანიზაციები (მაგალითად, ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები), ისე ფიზიკური პირები.

რა თუ გაცემენ ფინანსური ორგანიზაციები სესხებს?

ფინანსური ორგანიზაციები სესხებს იმ პირობით გასცემენ, რომ ჯამში მეტი თანხა დაიბრუნონ, ვიდრე გასცეს. დანამატი, რომელსაც მსესხებელი ფინანსურ ორგანიზაციას უხდის, პროცენტულად გამოისახება და მას საპროცენტო გადასახადი (მოკლედ - პროცენტი) ეწოდება.

რა რისკები და შესაძლებლობები ახლავს სესხებას?

სესხება შესაძლებლობას გვაძლევს ფინანსური რესურსი მაშინ მივიღოთ, როცა

გვჭირდება, ნასესხები თანხა კი დროთა განმავლობაში, ეტაპობრივად გადავიხადოთ. სესხით შეგვიძლია შევიძინოთ ჩვენთვის საჭირო და სასურველი ნივთები, დავიფინანსოთ განათლება, დავიწყოთ ან განვაავითაროთ ჩვენი ბიზნესი, შევიქმნათ მეტი სამომავლო შესაძლებლობა და გავიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. თუმცა, სესხება ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, რომლის მიღებაც შეიძლება მოგვიწიოს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სესხებამდე ყურადღებით ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები, არ ავიღოთ ვალდებულება, რომლის დაფარვასაც ვერ შევძლებთ და რომელიც მძიმე ტვირთად დაგვანჯვება ჩვენ და ჩვენს ოჯახს, არ ავყვეთ ბრმად ჩვენს სურვილებს და დავფიქრდეთ: სესხების ნაცვლად, ჩვენთვის სასურველი შენაძენისთვის თანხის დაზოგვა ხომ არ ჯობს?

თუ სესხის აღებას გადავწყვეტთ, აუცილებლად წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც სესხის აღებას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი რისკია ის, რომ მსესხებელმა ველარ დააბრუნოს სესხად აღებული თანხა. ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს, მათ შორის:

■ მსესხებელმა დაკარგა ან შეუმცირდა შემოსავალი, შემცირებული შემოსავლებით კი ველარ ახერხებს სესხის გადახდას;

■ მსესხებელს გაეზარდა ხარჯები, მათ შორის, როგორც მოულოდნელი, ისე გეგმიური. მოულოდნელ ხარჯში იგულისხმება ისეთი ხარჯი, რაც გაუთვალისწინებელ მოვლენებს უკავშირდება, მაგალითად, გაფუჭებული მანქანის შესაკეთებლად ან ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის გასარემონტებლად გაწეული ხარჯი. გეგმიურ ხარჯში კი იგულისხმება რეგულარული ხარჯი, რომელსაც მომხმარებელი გარკვეული პერიოდულობით გასწევს - მაგალითად, ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი, უნივერსიტეტში სწავლის სემესტრული საფასური და ა.შ.

აქვე გასათვალისწინებელია გაცვლითი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკიც: როდესაც მომხმარებელს შემოსავალი ლარში აქვს და სესხს უცხოური ვალუტით იღებს, მაშინ სესხის გადახდაც უცხოური ვალუტითვე უწევს. იმ შემთხვევაში, თუ ლარი უცხოური ვალუტის მიმართ გაუფასურდება, მომხმარებელს სესხის შენატანისთვის საჭირო უცხოური ვალუტის შესაძენად უფრო მეტი ლარის გადახდა მოუწევს, რაც მის ფინანსურ მდგომარეობას დააზარალებს. ამ რისკების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდირებულია სესხის იმ ვალუტით აღება, რომელშიც მომხმარებელს აქვს შემოსავალი.

რას ვერ ითვალისწინებთ ხშირად მსესხებლები?

სესხის აღებამდე,

მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მსესხებლის გადახდისუნარიანობა, ანუ რა მოცულობის სესხის აღების და დაბრუნების შესაძლებლობა აქვს მას თავისი შემოსავლის, ხარჯებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით ისე, რომ დაკმაყოფილდეს მისი და მისი ოჯახის წევრების ძირითადი მოთხოვნილებები.

ამისთვის მსესხებელმა უნდა გააანალიზოს საკუთარი და ოჯახის შემოსავლები და ხარჯები, დაითვალოს, თუ რა თანხა რჩება ყველა აუცილებელი ხარჯის დაფარვის შემდეგ და ეყოფა თუ არა ეს თანხა სესხის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად გადახდას სესხის მთელი ვადის განმავლობაში.

რატომ არსებობს სესხის სესხებზე კრედიტები არსებობს?

არსებობს სხვადასხვა ტიპის სესხი და მათ შორის არჩევანი იმის მიხედვით უნდა გააკეთოთ, თუ რა არის თქვენი მიზანი - ანუ რისთვის სესხულობთ ფულს.

სამომხმარებლო სესხი არის სესხი, რომელიც გაიცემა პირადი მოხმარებისთვის, ან გარკვეული საქონლის და მომსახურების შესაძენად. სამომხმარებლო სესხით შესაძლებელია საყოფაცხოვრებო ტექნიკის, წვრილმანი საოჯახო ნივთების, ყოველდღიური მოხმარების საგნების, მოგზაურობის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სამომხმარებლო სესხები, ჩვეულებრივ, მოკლევადიანია.

ალბათ, გაგიგიათ ტერმინები - ავტოსესხი ან სტუდენტური სესხი - ესენიც სამომხმარებლო სესხის სახეებია, რომლებსაც კონკრეტული მიზნობრიობა გააჩნია, ანუ დაკონკრეტებულია, თუ რა მიზნით შეუძლია მსესხებელს ნასესხები თანხის გამოყენება.

განვადებაც სამომხმარებლო ტიპის სესხია, რომელსაც ასევე კონკრეტული მიზნობრიობა აქვს. განვადების გაცემის პროცედურა შედარებით სწრაფია და ის ხშირად იმავე სავაჭრო ობიექტში (მაგ. ტექნიკის მაღაზიაში) ან მომსახურების ობიექტში (მაგ. სამედიცინო ცენტრში) გაიცემა, სადაც მომხმარებელს რაიმეს შეძენა სურს.

გაითვალისწინეთ, რომ როგორც წესი, განვადებით შეძენისას საქონლის და მომსახურების ფასი უფრო მაღალია, ვიდრე საგადახდო ბარათით ან ნაღდი ფულით, ერთიანად გადახდისას.

საკრედიტო ბარათი ბანკის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ბარათია, რომელზეც დაშვებულია ე.წ. საკრედიტო ლიმიტი. საკრედიტო ლიმიტი - ეს არის მაქსიმალური თანხა (მაგალითად, 1000 ლარი), რომელიც მომხმარებელს, რომელიც საკრედიტო ბარათს შეიძენს, შეუძლია სესხის სახით გამოიყენოს, რათა შეიძინოს მისთვის სასურველი ნივთები ან მომსახურება როგორც ინტერნეტით, ისე მომსახურების ობიექტში. ვინაიდან საკრედიტო ბარათი სესხია, მომხმარებელს უწევს

ბარათიდან გახარჯული თანხის უკან დაბრუნება ყოველთვიური შენატანებით და პროცენტის გადახდაც. ამასთან, საკრედიტო ბარათით სარგებლობისას, მსესხებელს, როგორც წესი, ეძლევა გარკვეული **საშელავათო პერიოდი**, რომლის განმავლობაშიც ბარათიდან გახარჯული ფულის დაბრუნების შემთხვევაში, მას არ მოუწევს პროცენტის გადახდა. მომხმარებელს საკრედიტო ბარათით შეუძლია თანხის ბანკომატიდან გამოტანაც. თუმცა, ეს შედარებით მაღალ ხარჯთან არის დაკავშირებული და უფრო ხელსაყრელია მომხმარებელმა ეს ბარათი მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში ან ინტერნეტით საქონლის ან მომსახურების შესაძენად გამოიყენოს.

საკრედიტო ბარათი მოსახერხებელი სასესხო პროდუქტია, თუმცა სესხის მარტივმა ხელმისაწვდომობამ შეიძლება წაახალისოს იმპულსური შენაძენების გაკეთება. ამიტომ, საკრედიტო ბარათით სარგებლობისას, ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებელს ახსოვდეს, რომ ის ნასესხებ თანხას ხარჯავს, და რომ მან ყურადღებით უნდა აკონტროლოს საკუთარი შენაძენები.

ოვერდრაფტი მოკლევადიანი საკრედიტო ლიმიტია, რომელიც დაიშვება მიმდინარე ანგარიშზე. ის როგორც წესი „მიბმულია“ სახელფასო ბარათზე და მის მეშვეობით საშუალებას აძლევს გამოიყენოს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ანგარიშზე აქვს, შემდეგ

კი დაფაროს გახარჯული თანხა ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან.

ოვერდრაფტი და საკრედიტო ბარათი სესხებია, ამიტომ, მათით სარგებლობის შემთხვევაში მომხმარებელს, ბუნებრივია, პროცენტის გადახდა უწევს.

ოვერდრაფტი ძალიან ჰგავს საკრედიტო ბარათს, თუმცა, მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. მაგალითად, ოვერდრაფტი იმ ანგარიშზე დაიშვება, რომელზეც მსესხებელს ერიცხება ხელფასი, რათა ხელფასიდან მარტივად დაიფაროს ოვერდრაფტის თანხა, საკრედიტო ბარათის ალების შემთხვევაში კი სპეციალურად ამ მიზნისთვის ცალკე ანგარიში იხსნება. ამასთან, საკრედიტო ბარათისგან განსხვავებით, ოვერდრაფტით გახარჯულ თანხაზე საშელავათო პერიოდი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, როგორც წესი, არ მოქმედებს.

ალბათ, ასევე, გასმენიათ **იპოთეკური** სესხების შესახებ. იპოთეკური სესხი გამოიყენება უძრავი ქონების - როგორცაა სახლი, ბინა, ან მიწის ნაკვეთი - შესაძენად, ასაშენებლად, ან გასარემონტებლად. იპოთეკური სესხი, როგორც წესი, უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, რაც გულისხმობს, რომ თუ მომხმარებელი ვერ ან არ გადაიხდის სესხს, ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს გაყიდოს ან დაისაკუთროს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონება. იპოთეკური სესხი, როგორც წესი, გრძელვადიანია;

ეს ვადა შეიძლება იყოს 5, 10 და 15 წელიც კი. როგორც წესი, იპოთეკურ სესხებს სხვა ტიპის სესხებთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი და ხანგრძლივი ვადა აქვს.

რა არის საკრედიტო ისტორია?

ეს არის ინფორმაცია თითოეული **მსესხებლის** მიერ აღებული **სესხებისა და მათი გადახდის** შესახებ. საკრედიტო ისტორია გროვდება და ელექტრონულად ინახება სპეციალიზებულ ორგანიზაციის - **საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს** მონაცემთა ბაზაში, სადაც ჩანს, თუ როდის და რა ტიპის სესხი აიღო თითოეულმა მსესხებელმა და რამდენად დროულად ფარავს ის ფინანსურ ვალდებულებებს. გაითვალისწინეთ, რომ საკრედიტო ისტორია მოიცავს არამხოლოდ **მომხმარებლის მიერ აღებული სესხების**, არამედ მისი თავდებობითა და თანამსესხებლობით გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციასაც (თავდებობაზე ჩვენ ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ). ამასთან, საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში არა მხოლოდ **ფიზიკური**, არამედ **იურიდიული** პირების (ანუ კომპანიების) საკრედიტო ისტორიაც ინახება.

საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროსთან მსესხებლის შესახებ მონაცემების მიმოცვლას ახდენენ ბანკები, მიკროსაფინანსო და სხვა ტიპის სესხის გამცემი ორგანიზაციები.

საკრედიტო ისტორია ძალიან მნიშვნელოვანია სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის, რადგან ის აჩვენებს, თუ რამდენად დროულად ფარავს მსესხებელი ფინანსურ ვალდებულებებს. როდესაც მომხმარებელი სესხის ასაღებად მიდის ფინანსურ ორგანიზაციაში, ეს ორგანიზაცია, მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე, ამოწმებს მის საკრედიტო ისტორიას და შემდეგ წყვეტს, გამოუცხადოს თუ არა მომხმარებელს ნდობა და ასესხოს თუ არა მას ფული.

ამჟამად საქართველოში ერთი საკრედიტო-საინფორმაციო ბიურო ფუნქციონირებს - **სს „კრედიტინფო-საქართველო“**, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ საკუთარი საკრედიტო ისტორიის ამონაწერი.

ვინ არის თავდები და რას ნიშნავს თავდებობა?

თავდები - ეს არის პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე, თავის თავზე იღებს სხვა პირის მიერ აღებული სესხის დაბრუნების პასუხისმგებლობას, თუ ამას თვითონ მსესხებელი არ/ვერ გააკეთებს. თავდებობა დამატებითი გარანტიაა სესხის გამცემი ორგანიზაციისთვის: თუ მსესხებელი ვერ დაფარავს მის სახელზე არსებულ ვალდებულებას, მაშინ გამსესხებელს აქვს უფლება, თავდებისგან მოითხოვოს სესხის გადახდა. თავდებობა ძალიან მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც თანხმობას აცხადებს, იყოს თავდები,

აუცილებლად ყურადღებით უნდა აწონ-დაწონოს როგორც მსესხებლის, ისე საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები.

დაბოლოს, სესხი შეიძლება ავიღოთ არამხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ სხვებთან ერთადაც - მაგალითად, ოჯახის წევრთან ერთად. პირს, რომელიც ძირითადად მსესხებელთან ერთად იღებს და იხდის სესხს, **თანამსესხებელს** ეძახიან.

დამიხსოვრეთ, სესხის აღება ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა და ის კარგად დაფიქრებას საჭიროებს. დღესდღეობით, სესხებს ბევრი ფინანსური ორგანიზაცია გასცემს: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ. თითოეული მომხმარებლის ამოცანაა, რეალურად შეაფასოს საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები როგორც სესხის აღებისას, ისე სესხის მთელი ვადის განმავლობაში, მოიძიოს დეტალური ინფორმაცია შემოთავაზების შესახებ, ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა შემოთავაზება და მიიღოს ინფორმირებული, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

**მოეკიდეთ
სესხებას
პასუხისმგებლობით!**





ფასიანი
ქალაქები და
საფონდო ბირჟა



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საპარტნიორო კომპიუტერული სერვისების ცენტრი

მთავრობებისა და კომპანიების მიერ ფინანსური რესურსის მოზიდვის ერთ-ერთი ეფექტური გზა ფასიანი ქაღალდების გამოშვებაა. მთავრობებს ფულადი სახსრების მობილიზაცია ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით შესაძლებელია დასტირდეთ სხვადასხვა პროექტის (მაგალითად ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის - გზების, ხიდების, ჰესების მშენებლობა) დასაფინანსებლად, ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად. კომპანიებს კი საკუთარი საქმიანობის გაფართოება - განვითარებისთვის. ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ემისია, ხოლო ფასიანი ქაღალდების გამომშვებს - ემიტენტი ეწოდება.

რა არის ფასიანი ქაღალდი?

ფასიანი ქაღალდი - ეს არის დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს მისი მფლობელის საკუთრების უფლებას, ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებსა (ანუ ემიტენტს) და მის მფლობელს შორის. ეს გულისხმობს, რომ ფასიანი ქაღალდის შესყიდვის გზით, ფასიანი ქაღალდის მფლობელი ყიდულობს ემიტენტი კომპანიის წილს ან შედის სასესხო გარიგებაში ემიტენტთან, რომლის მიხედვითაც, ემიტენტი გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მყიდველს უბრუნებს გადახდილ თანხას და დამატებით უხდის წინასწარ დადგენილ პროცენტს.

იმ სივრცეს, სადაც ემიტენტები (ფასიანი ქაღალდების

გამომშვები პირები) და ინვესტორები (ფასიანი ქაღალდის შემძენი პირები) ერთმანეთს ხვდებიან და სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეწოდება.

ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეები

ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეებია **აქციები** და **ობლიგაციები**.

აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მფლობელი (იგივე აქციონერი) ფლობს წილს კომპანიაში. აქციონერებს კომპანიის მოგების გარკვეულ წილი (პროცენტი) ეკუთვნით. მოგების ნაწილს, რომელიც კომპანიის აქციონერებზე გაიცემა, **დივიდენდი** ეწოდება. თავის მხრივ, არსებობს აქციის ორი სახეობა: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქცია. პრივილეგირებული აქციის მფლობელისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი აქციის მფლობელს აქვს აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემის უფლება ანუ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში და იღებს დივიდენდებს კომპანიის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, კომპანიის მოგების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მოგებაზე გასვლის შემთხვევაშიც, აქციონერთა კრებამ შესაძლოა არ გასცეს დივიდენდები აქციის მფლობელებზე, ერთ-ერთი მიზეზი კი შესაძლოა იყოს რეინვესტირება. 2017 წლიდან,

ბიზნესის წახალისების მიზნით, სახელმწიფომ შემოიღო მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი, ე.წ. „ესტონური მოდელით“ გათვალისწინებული შეღავათი, რაც გულისხმობს, რომ თუ ბიზნესი მოგების სახით მიღებული თანხის რეინვესტირებას მოახდენს იმავე ბიზნესში, მაშინ ის გათავისუფლდება მოგების გადასახადისაგან, გადასახადის გადახდა ბიზნესს მოუწევს თანხის მხოლოდ იმ ოდენობაზე, რომელსაც კომპანიის მფლობელებზე, ანუ აქციონერებზე, დივიდენდის სახით გასცემს.

ობლიგაცია კომპანიის ან მთავრობის მიერ თანხის მობილიზების მიზნით გარკვეული ვადით გამოშვებული სასესხო ტიპის ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს ობლიგაციის მფლობელის (იგივე ობლიგაციონერის) უფლებას, მიიღოს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება, რომელიც მითითებულია ფასიან ქალაქზე წინასწარ დადგენილ ვადაში და ასევე სარგებელი დადგენილი პერიოდულობით. ობლიგაციის მფლობელი, აქციონერისგან განსხვავებით, ობლიგაციის გამომშვები კომპანიის ან მთავრობის წილის მფლობელი არ ხდება.

როგორც ხედავთ, კომპანიებისგან განსხვავებით, მთავრობები არ უშვებენ აქციებს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

ფასიანი ქალაქების ბაზრები

ბაზარს, სადაც ემიტენტების ახლადგამოშვებული ფასიანი ქალაქები იყიდება, **პირველადი ბაზარი** ჰქვია. ამ ბაზარზე ფასიანი ქალაქების გაყიდვა ხდება უშუალოდ ემიტენტების ან ემიტენტების წარმომადგენელი საინვესტიციო ბანკების მიერ. იმ პირს, რომელიც ყიდულობს ფასიან ქალაქებს, ანუ ახორციელებს ინვესტიციებს ფასიან ქალაქებში, ინვესტორი ეწოდება.

ამის შემდეგ, ინვესტორების მიერ შექმნილი ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა უკვე **მეორად** ბაზარზე ხორციელდება, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ორი ნაწილისაგან – **საფონდო ბირჟისა** და **არასაბირჟო ბაზრისაგან**.

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა შუამავლების მეშვეობითა და ბირჟის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად მიმდინარეობს. ამის საპირისპიროდ, არასაბირჟო ბაზარზე მყიდველები და გამყიდველები შესაძლებელია ერთმანეთს როგორც მესამე პირების გარეშე, ისე მათი დახმარებითაც დაუკავშირდნენ, მაგრამ ვაჭრობა ბირჟის გარეშე არაორგანიზებულია და უშუალოდ მოვაჭრეები ერთმანეთში თანხმდებიან ვაჭრობის პირობებზე.

როგორც წესი, იმ შუამავლებს, რომლებიც ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვას ახორციელებენ, ბროკერები ან დილერები ჰქვიათ. ბროკერები ძირითადად კლიენტების დავალებით

მუშაობენ და დამქირავებლის მოგების ზრდაზე არიან ორიენტირებულნი, დილერები კი, რომლებიც შეიძლება იყვნენ მაგალითად, ბანკები და საინვესტიციო კომპანიები, ბაზარზე საკუთარი სახსრებით ვაჭრობენ და დაკავშირებულ რისკებსაც საკუთარ თავზე იღებენ. ბროკერები და დილერები, როგორც წესი, ძალიან კარგად იცნობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნიუანსებს და სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

საფონდო ბირჟის შესახებ

საფონდო ბირჟა და მისი გამართული ფუნქციონირება ეკონომიკის სტაბილურობის და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საქართველოს მსგავსად, განვითარების სტადიაზე მყოფი ქვეყნები განიცდიან ადგილობრივი საინვესტიციო რესურსების ნაკლებობას, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკაში აუცილებელია უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვა, ხოლო მისი მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება - საფონდო ბირჟის მდგრადი ფუნქციონირებაა.

საფონდო ბირჟა ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებით ორგანიზებული ვაჭრობის რეგულარულ ფუნქციონირებას დადგენილი წესების შესაბამისად და ამასთან, ავრცელებს ბირჟაზე დადებული გარიგებებისა და ფასების შესახებ

ინფორმაციას. საფონდო ბირჟა საშუამავლო დაწესებულებაა, რაც გულისხმობს, რომ ის მხოლოდ ქმნის აუცილებელ პირობებს გარიგებების დასადებად, ერთმანეთთან აკავშირებს ფასიანი ქაღალდების მყიდველებსა და გამყიდველებს და მათ ყველა იმ მომსახურებას უწევს, რაც ხელს უწყობს გარიგების დადებას.

საფონდო ბირჟაზე მოვაჭრეები საკუთარი ან კლიენტების სახსრებით ვაჭრობენ მოგების მიღების მიზნით. საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა დაკავშირებულია რისკებთან. ინვესტორის მიერ მოგების მიღება დამოკიდებულია ემიტენტის მომგებიანობაზე (ანუ იმ კომპანიის მოგებაზე, რომლის ფასიან ქაღალდებსაც ინვესტორი ყიდულობს) და ამ რისკებს მთლიანად ინვესტორი იღებს.

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა მიმდინარეობს ბირჟაზე დამტკიცებული წესების დაცვით, დადგენილ დროსა და ადგილზე (სავაჭრო დარბაზში), საჭაროდ, შუამავალების მეშვეობით, ფასიანი ქაღალდების კოტირებით (ანუ ფასიან ქაღალდზე მყიდველისა და გამყიდველის ფასების შეჯერებით). საფონდო ბირჟაზე გარიგების სწრაფად დადება-შესრულება თავისუფალი კონკურენციის პირობებში ხდება.

● ბირჟაზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალურ წესების მეშვეობით, რომლითაც რეგულირდება ბირჟის წევრების, ანუ ბირჟაზე მოვაჭრე საბროკერო კომპანიების საქმიანობისა და ქცევის წესები;

● ფასიანი ქალაქების სავაჭროდ დაშვებისთვის შემუშავებულია საკმაოდ მკაცრი სისტემა, რომელსაც „ლისტინგი“ ეწოდება. თუ კომპანიის აქციები/ობლიგაციები ივაჭრება რომელიმე, მაგ. საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ამბობენ, რომ ეს კომპანია „დაშვებულია ბირჟის ლისტინგში“, ან, საფონდო ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, „დალისტულია“ საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

მსოფლიოს უმსხვილეს საფონდო ბირჟებს მიეკუთვნება: ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ლონდონის საფონდო ბირჟა, ტოკიოს საფონდო ბირჟა და ა.შ.


ამჟამად საქართველოში ორი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა: საქართველოს საფონდო ბირჟა და თბილისის საფონდო ბირჟა. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 40-მდე კომპანიის ფასიანი ქალაქი იყო დაშვებული.

საქართველოში ფასიანი ქალაქების გამოშვებასა და მათი მიმოქცევის დროს წარმოშობილ ურთიერთობებს საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს. ამ თვალსაზრისით, ეროვნული ბანკის მიზანია ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქალაქების ბაზარზე ინვესტორების ინტერესების დაცვა, ფასიანი ქალაქებით საჭარო ვაჭრობის ღიაობის, ანუ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის

სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება და შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ამ პროცესში როგორც კანონმდებლობის დახვეწით, გამჭვირვალობის ხელშეწყობითა და საფონდო ბირჟის ინფრასტრუქტურის განვითარებით, ისე საზოგადოების ფასიანი ქალაქებისა და ზოგადად, ინვესტიციების შესახებ ფინანსური განათლების დონის ამაღლებით.

**ინვესტირებამდე,
შეისწავლეთ
იმ კომპანიის ფინანსური
მდგომარეობა და ყოველწლიური
განვითარება, რომელშიც თანხის
დაბანდებას აპირებთ!**





ფინანსური სისტემა და ფინანსური შუამავლები



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საერთაშორისო კრიტიციზმის სარეზერვო ფონდი

ფინანსური სისტემა

ფინანსური სისტემა - ეს არის სისტემა, რომლის მიზანსაც, მასში შემავალი ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით, **დამზღვევლებსა და მსესხებლებს შორის ფინანსური რესურსის, ანუ ფულის,** გადაადგილება წარმოადგენს. ფინანსური ინსტიტუტები, თავის მხრივ, ფიზიკურ პირებს, კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს სხვადასხვა ფინანსურ მომსახურებებს სთავაზობენ.

რატომ არის მნიშვნელოვანი ფინანსური სისტემა? წარმოვიდგინოთ, რომ, ერთი მხრივ, გვყავს პირები, რომლებსაც აქვთ დანაზოგი და სურთ ეს თანხა არამხოლოდ უსაფრთხოდ შეინახონ, არამედ რაიმე საქმეს მოახმარონ და სარგებელი მიიღონ, მეორე მხრივ კი, გვყავს პირები, რომლებსაც აქვთ ბიზნეს იდეები და ინიციატივები, თუმცა მათ განსახორციელებლად ფინანსური კაპიტალი, ანუ თანხა სჭირდებათ.

ფინანსური სისტემა სწორედ ამ მხარეებს - მათ, ვისაც აქვს კაპიტალი, და მათ, ვისაც სჭირდება კაპიტალი - აკავშირებს ერთმანეთთან, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ახალი პროექტების განხორციელება, მეტი საქონლისა და მომსახურებების შექმნა, და ამ გზით, ეკონომიკის განვითარება.

ამ ბროშურაში, მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ

ფინანსურ ინსტიტუტებს.

დავიწყოთ ფინანსური სისტემის ყველაზე ცნობილი მოთამაშეებით - **ბანკებით.**

თანამედროვე სამყაროში, ბანკების გარეშე ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელია. საქართველოში საბანკო სექტორი ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 15 კომერციული ბანკია, რომელთა საქმიანობასაც საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობს. მოკლედ გავცნოთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციებს:

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ცენტრალური ბანკია და მისი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია **ფასების სტაბილურობის** უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ქვეყანაში ინფლაციის, ანუ ფასების საერთო დონის ზრდის, ზომიერი და წინასწარ განსაზღვრული განაკვეთის შენარჩუნებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის

ხელშეწყობა. ამ მიზნით ის **ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს**, რაც მიზნად ისახავს მისი სტაბილურობის, გამჭვირვალობის, გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ეს კი, თავის მხრივ, მომხმარებლებისა და ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვის წინაპირობაა. ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს, მათ შორის, კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს უწესებს, რომელთა დარღვევისთვისაც ეროვნულ ბანკს სანქციების დაწესებაც შეუძლია.

საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოფის ქვეყანაში საგადახდო სისტემების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება. ფასიანი ქაღალდების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბროშურაში “ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა”.

დამატებით, ეროვნული ბანკი ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ალკვეთოს საფინანსო სისტემის გამოყენებით ტერორიზმის დაფინანსება და უკანონო შემოსავლების ლეგალიზება. უკანონო შემოსავლების ლეგალიზება ნიშნავს უკანონოდ მიღებული შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემას (მაგ.

ალეგული ქრთამით უძრავი ქონების შეძენას), ასევე, ამგვარი ქონების ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის დამალვას, რაც დანაშაულებრივი ქმედებაა.

მომხმარებელთა უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, შესაბამისი რეგულაციების განვითარების პარალელურად, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს **მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზეც**.

სწორედ ფინანსური განათლება ეხმარება ადამიანებს, ჩამოყალიბდნენ ინფორმირებულ და პასუხისმგებელიან მომხმარებლებად, რომლებმაც იციან, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები და გაიუმჯობესონ ფინანსური კეთილდღეობა.

ალსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საბანკო მომსახურება გაუწიოს როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მთავრობებს, სხვა ცენტრალურ ბანკებსა და ფინანსურ შუამავლებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამასთან, მხოლოდ მას აქვს უფლება განახორციელოს ფულის ნიშნების ემისია, ანუ **ქართული ფულის - ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება**. დაბოლოს, ეროვნული ბანკი აქვეყნებს **ოფიციალურ გაცვლით კურსს** ლარსა და სხვა ვალუტებს შორის, როგორცაა აშშ დოლარი, ევრო და ა.შ. ფულისა და ვალუტის შესახებ

ინფორმაცია უფრო დეტალურად იხილეთ ბროშურაში “ფული და ვალუტა”.

კომერციული ბანკები

კომერციული ბანკები მომხმარებლებს სხვადასხვა ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ: ბანკში შესაძლებელია ანგარიშის გახსნა და მისი მართვა, დეპოზიტზე თანხის დაგროვება, სესხის (იგივე კრედიტის) აღება ბიზნესის დასაწყებად და გასაფართოებლად, სახლის შესაძენად, სწავლის დასაფინანსებლად ან სხვა მიზნით, თანხის საქართველოში ან საზღვარგარეთ გაგზავნა, საგადახდო (პლასტიკური) ბარათების მიღება, და ა.შ.

ბანკი დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის შუამავლის როლს თამაშობს. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ბანკები იღებენ დეპოზიტებს, რის სანაცვლოდაც დამზოგველებს საპროცენტო სარგებელს უხდიან. ამის შემდეგ კი, ბანკები მოზიდულ სახსრებს სესხის სახით გასცემენ, რის სანაცვლოდაც მსესხებლებისგან საპროცენტო სარგებელს იღებენ¹.

ბანკის მოგების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ მოზიდული და გაცემული თანხების საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული სხვაობა წარმოადგენს.

საბანკო საქმიანობა სხვა ბიზნესების მსგავსად, მოგების მიღებაზეა ორიენტირებული.

თუმცა, კომერციულ ბანკებზე მნიშვნელოვანი რეგულაციები ვრცელდება, რომლებიც მათ უსაფრთხო ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა დეპოზიტების განთავსებისა და სესხებისა, კომერციული ბანკები შემდეგ მომსახურებებსაც გთავაზობენ:

■ **თანხის გადარიცხვა და ფულადი გზავნილების განხორციელება** მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

■ **კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა** როგორც ბანკის ფილიალში, ისე დისტანციურად, ინტერნეტბანკის საშუალებით.

■ **საგადახდო ბარათების გაცემა**, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სავაჭრო / მომსახურების ობიექტებში მაღაზიაში, კაფეში, კინოში, ტრანსპორტში, ა.შ.) და ინტერნეტით თანხის გადახდა, ასევე, ბანკომატით დღის ნებისმიერ მონაკვეთში ფულის განაღდება.

■ **ვალუტის კონვერტაცია.**

■ და სხვა.

¹ აღსანიშნავია, რომ ბანკებს თანხების მოზიდვა სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან სესხის აღების გზითაც შეუძლიათ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

ბანკების გარდა, ქვეყანაში არაერთი ტიპის ფინანსური ორგანიზაცია გვხვდება. მათ შორის, სექტორის სიდიდიდან გამომდინარე, პირველ რიგში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ვისაუბროთ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანსური ორგანიზაციაა, რომელიც ბანკის მსგავსად, გასცემს სესხებს ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე და მათ სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას, როგორცაა ვალუტის კონვერტაცია და ფულადი გადარიცხვები. თუმცა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას **არ აქვს დეპოზიტების მიღების და 100,000 ლარზე მეტი მოცულობის სესხების გაცემის უფლება.**

2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში 50-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

სადაზღვევო კომპანიები

დაზღვევა ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომისას წარმოქმნილი **ზარალის შემცირება** ან **თავიდან აცილება.** სადაზღვევო კომპანიები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იმ რისკებისაგან აზღვევენ, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ,

სანაცვლოდ კი დაზღვეული პირები სადაზღვევო კომპანიას ფულად შენატანს უხდიან, რასაც სადაზღვევო პრემია ეწოდება.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ანუ წინასწარ განსაზღვრული რისკების რეალიზების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია დაზღვეულ პირებს სრულად ან ნაწილობრივ, წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში უნაზღაურებს ზარალს. შესაბამისად, დაზღვევა ძალიან **სასარგებლო და პრაქტიკული** საშუალებაა ფინანსური სტაბილურობისა და სიმშვიდის მისაღწევად და ამ კუთხით სადაზღვევო კომპანიებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ.

არსებობს დაზღვევის სხვადასხვა სახეობა - **პირადი** (მაგ. ჯანმრთელობის, სამოგზაურო), **ქონების** (მაგ. ავტომობილის, სახლის, საწარმოს დანადგარების) და **პასუხისმგებლობის** (მაგ. ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის) დაზღვევა. დაზღვევის ფორმებისა და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უფრო დეტალურად იხილეთ ბროშურაში “დაზღვევა”.

საქართველოში 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით 17 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს, რომლებიც მომხმარებლებს სხვადასხვა ტიპის დაზღვევას სთავაზობენ. საქართველოს სადაზღვევო სექტორის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის

მიზნით სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას დაზღვევის სახელმწიფო ბედამხედველობის სამსახური უწევს ბედამხედველობას.

სალიზინგო კომპანიები

სალიზინგო კომპანია ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ბიზნესს ეხმარება დაფინანსების მოპოვებაში. თუმცა ბანკისგან განსხვავებით, სალიზინგო კომპანია ბიზნესს ფულს პირდაპირი სახით არ ასესხებს. ამის ნაცვლად, ის ბიზნესის მაგივრად ყიდულობს **აქტივს**, ანუ ნივთს/ალტურვილობას, რომელიც ბიზნესს განვითარებისთვის სჭირდება - ასეთი აქტივი შეიძლება იყოს სატრანსპორტო საშუალება, სამედიცინო და სხვა ტიპის დანადგარი, სამშენებლო მასალა, ალტურვილობა და სხვა - და ამ აქტივს ბიზნესს მისთვის საჭირო ვადით გადასცემს².

ამ ვადის განმავლობაში ბიზნესი სარგებლობს მისთვის გადაცემული ალტურვილობით, იღებს შემოსავალს და სანაცვლოდ, სალიზინგო კომპანიას უხდის გადასახადს. ლიზინგის **ვადა, საპროცენტო განაკვეთი და პირობები** ხელშეკრულებაში იწერება, რომელსაც სალიზინგო კომპანია და ბიზნესი აწერენ ხელს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ კი, ბიზნესისთვის გადაცემული

ალტურვილობა გადავა ბიზნესის საკუთრებაში ან დაუბრუნდება სალიზინგო კომპანიას.

ლიზინგსა და სესხს შორის არჩევანის გაკეთებისას, მომხმარებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ორივე შემთავაზებასთან დაკავშირებული **სრული ხარჯი**, დასვას შეკითხვები და გადანიყვებილება მხოლოდ ორივე პროდუქტის **ყველა პირობის** - როგორცაა, **საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის გრაფიკი, ვადა**, და ა.შ. - კარგად გაცნობის შემდეგ მიიღოს.

საფონდო ბირჟა

საფონდო ბირჟა ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას დადგენილი წესების შესაბამისად. **საფონდო ბირჟა საშუამავლო დაწესებულებაა** და ერთმანეთთან აკავშირებს ფასიანი ქაღალდების **მყიდველებსა** და **გამყიდველებს** და მათ ყველა იმ მომსახურებას უწევს, რაც ხელს უწყობს გარიგების დადებას.

ფასიანი ქაღალდების მყიდველის მიერ მოგების მიღება დამოკიდებულია ემიტენტის (ანუ ფასიანი ქაღალდის გამომშვების) მომგებიანობაზე და ამ რისკებს ინვესტორი, ანუ ფასიანი ქაღალდის მყიდველი იღებს. იმ პირებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ახორციელებენ, ბროკერები ან დილერები ჰქვიათ.

² ლიზინგით სარგებლობა ფიზიკურ პირებსაც შეუძლიათ.

ბროკერები ძირითადად კლიენტების დავალებით მუშაობენ და დამქირავებლის მოგების ზრდაზე არიან ორიენტირებულნი. **დილერები** კი, რომლებიც შეიძლება იყვნენ მაგ. ბანკები და საინვესტიციო კომპანიები, ბაზარზე საკუთარი სახსრებით ვაჭრობენ და დაკავშირებულ რისკებსაც საკუთარ თავზე იღებენ. ბროკერები და დილერები კარგად იცნობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნიუანსებს და სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებას ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

საფონდო ბირჟის გამართულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის განვითარებაში, და საქართველოშიც ამ სფეროს განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა. ამჟამად საქართველოში ორი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა: საქართველოს საფონდო ბირჟა და თბილისის საფონდო ბირჟა, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაა აქტიური.

2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 40-მდე კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული. საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მათი მიმოქცევის დროს წარმოშობილ ურთიერთობებს საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს.

ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია იხილეთ ბროშურაში “ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა”.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა, ბაზარზე გვხვდება ვალუტის გადაამცვლელი პუნქტები (კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ ვალუტის კონვერტაციას), სესხების გამცემი სუბიექტები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც მომხმარებლებს სხვადასხვა საგადახდო მომსახურებას სთავაზობენ - მაგ. ფულადი გზავნილების განხორციელება და ა.შ.) და სხვა ტიპის დაწესებულებებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს.

გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა სახის ფინანსურ ორგანიზაციებზე სხვადასხვა ტიპის ზედამხედველობა ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან, ყველა ფინანსური შუამავალი, რომელიც ფულად სახსრებს მოიზიდავს 20-ზე მეტი პირისგან აპირებს, ვალდებულია დარეგისტრირდეს ეროვნულ ბანკში, რაც მომხმარებლების დანაზოგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.


ამას გარდა, 2019 წლიდან ეროვნული ბანკის რეგულირებასა

და ზედამხედველობას ექვემდებარება სესხის გამცემი ყველა მენარმე სუბიექტი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ პირს აქვს სასესხო ვალდებულება.

დაბოლოს, გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა ცხოვრებისეული საჭიროებისთვის სხვადასხვა ფინანსური მომსახურება არსებობს. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე, მათ შორის ფინანსური ორგანიზაციის შერჩევამდე,

ყურადღებით უნდა აწონ-დაწონოთ თქვენი **ფინანსური შესაძლებლობები**, მოიძიოთ რაც შეიძლება მეტი **ინფორმაცია** იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელთანაც საქმიან ურთიერთობას აპირებთ, გაერკვეთ შემოთავაზებულ **პირობებში**, ყურადღებით **წაიკითხოთ ხელშეკრულება**, რომელსაც ხელს აწერთ, და დასვათ თქვენთვის საინტერესო **შეკითხვები**.

**ინფორმირებულობა
გონივრული
გადაწყვეტილებების
მიღების საწინდარია!**



ფული და ვალუტა



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



საპარტავლოს კამბიოების სარეზერვო ფონდი

ფული - ეს არის გადახდის, გაცვლის, დაგროვებისა და ღირებულების საზომი საშუალება. დღევანდელ დღეს ფულის ფუნქციას ბანკნოტები, მონეტები და ელექტრონული გადახდის საშუალებები (მაგალითად, საგადახდო ბარათები) ასრულებენ, თუმცა, ისტორიის მანძილზე ფულმა არაერთხელ იცვალა ფორმა.

მცირე ექსკურსია ფულისა და ვალუტის სამყაროში

უძველეს დროში, მონეტარული სისტემის შემოღებამდე, ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიდნენ, სესხად აძლევდნენ ან პირდაპირ ერთმანეთში ცვლიდნენ სხვადასხვა საქონელს, როგორცაა ხორცი, იარაღი, ხორბალი, და ა.შ. საქონელგაცვლას „ბარტერი“ ეწოდება. იმ სისტემებს, რომლებიც გაცვლის პრინციპზე იყო აგებული, თავისი უარყოფითი მხარეები ჰქონდა. მაგ.: იმ საქონელზე, რომელსაც ადამიანები სთავაზობდნენ ერთმანეთს, შეიძლება ყოველთვის არ ყოფილიყო მოთხოვნა, რა შემთხვევაშიც გარიგება ვერ შედგებოდა. ამასთან, რთული იყო ამა თუ იმ საქონლის ღირებულებაზე შეთანხმება და საქონელგაცვლას ხშირად დიდი დროც მიჰქონდა.

დროის გასვლასთან ერთად, ნელ-ნელა გაჩნდა სასაქონლო ფული. ადამიანებმა დაიწყეს სხვადასხვა ადვილად გაცვლადი

ნივთების - როგორცაა იარაღი, ნიჟარები, ქვები, ძვლები, მარილი და ა.შ. - გადახდის საშუალებად გამოყენება, რამაც საქონელგაცვლა გაცილებით გაამარტივა და დააჩქარა. თუმცა, სასაქონლო ფულის ერთეულების ღირებულება კვლავაც შეთანხმების საგანი იყო.

პირველი მონეტები ძვ. წ. დაახლოებით 600 წელს ლიდიაში (თანამედროვე თურქეთი) მოიჭრა. მონეტები ძვირფასი ლითონებისგან მზადდებოდა, როგორცაა ოქრო და ვერცხლი და მათ განსაზღვრული, კონკრეტული ღირებულებაც ჰქონდა. მონეტების შემოღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას. ანტიკურ სამყაროში მონეტები ფულის საჭრელ სპეციალურ საწარმოებში - ზარაფხანებში იჭრებოდა, ქვეყნის მმართველებისთვის კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას საკუთარი მონეტების გაყალბებისგან დაცვა წარმოადგენდა.

მონეტები მძიმე, გადასაადგილებლად რთული და მძარცველებისთვის ხელსაყრელი სამიზნე იყო. ამას გარდა, სირთულეს წარმოადგენდა ძვირფასი ლითონების იმ რაოდენობით მოძიება, რაც მონეტების საკმარისი რაოდენობის დამზადებისთვის იყო საჭირო. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, საუკუნეების გასვლასთან ერთად, ნელ-ნელა განვითარდა ქალაქის ფული. საინტერესოა, რომ პირველი ქალაქის

ფული (ისევე, როგორც თვითონ ქალაქი) ჩინეთში გაჩნდა, ევროპაში კი ქალაქის ფულის გამოყენება 6 საუკუნის შემდეგ, ჩვ. წ. 1661 წელს, შვედეთში დაიწყო.

თანამედროვე ფული და ვალუტა

დღევანდელ დღეს ქვეყნების უმრავლესობას საკუთარი ფული აქვს, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე კანონიერი გადახდის საშუალებას წარმოადგენს. ფულად ერთეულს, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ ტერიტორიაზე გამოიყენება, ვალუტას უწოდებენ. მაგ. საქართველოში ოფიციალური ვალუტა ლარია, თურქეთში - ლირა, ევროზონის 19 ქვეყანაში კი - ევრო.

ყველა ვალუტას აქვს დასახელება (როგორცაა ლარი, ევრო, დოლარი) და განსაზღვრული ნომინალის ბანკნოტები და მონეტები, რომელთა ფორმითაც ხდება ვალუტის მიმოქცევაში ჩაშვება. ამასთან, თითოეული ვალუტისთვის არსებობს ემისიის (გამოშვების), განადგურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მკაცრი სტანდარტები, რაც მათ გაყალბებისგან იცავს.

უკანასკნელ პერიოდში, ტექნოლოგიური განვითარებების კვალდაკვალ, ბანკნოტებისა და მონეტების პარალელურად გავრცელდა გადახდის ელექტრონული საშუალებები - როგორცაა საგადახდო პლასტიკური ბარათები (როგორც ალბათ თქვენც გაქვთ)

და ელექტრონული ფული. ელექტრონული ფული წარმოადგენს მომხმარებლისაგან მიღებული ნაღდი ფულის ექვივალენტურ ღირებულებას, რომელიც ელექტრონულად ინახება ე.წ. „ელექტრონულ საფულეში“.

„ელექტრონული საფულის“ განკარგვა შეიძლება როგორც ინტერნეტსივრცეში, ისე საგადახდო ბარათის საშუალებით. ელექტრონული ფულით მომხმარებელს შეუძლია სავაჭრო/ მომსახურების ობიექტებში საქონლის ან მომსახურების მარტივად შეძენა, ფულის გადარიცხვა და სხვა ოპერაციების შესრულება.

ელექტრონული გადახდის საშუალებების უპირატესობა გახლავთ ის, რომ ისინი არ ცვდება, ხოლო მათი მომხმარებელი შეტად არის დაცული ფულის ქურდობისა და დაკარგვისგან და არ ხარჯავს დროს ბანკის სალაროს რიგში დგომაზე. ამასთან, საგადახდო ბარათით მარტივია ფულის ტარება, ფულზე ელექტრონულად წვდომა კი ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი ინტერნეტისა და ტელეფონის საშუალებით.

ქართული ფულის შესახებ

საქართველოს ოფიციალური ვალუტა და ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

შემთხვევებისა) ლარია და მას თავისი სიმბოლო აქვს - - რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 2014 წლის 7 ივლისს დაამტკიცა.

ქართული ფული გვხვდება ბანკნოტებისა და მონეტების, ასევე, **საკოლექციო** დანიშნულების ბანკნოტებისა და მონეტების სახით, რომლებიც სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებს, ცნობილ ადამიანებსა და ღონისძიებებს ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ არსებობს საინვესტიციო მონეტებიც, რომლებიც ფულის შენახვის ერთ-ერთ გზასაც წარმოადგენს.

საქართველოში **ფულის ნიშნების ემისიის** ანუ ფულის ბეჭდვის უფლება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს გამოუსადეგარი ფულის მიმოქცევიდან ამოღებასა და განადგურებას და მათი შესაბამისი ოდენობის ახალი ბანკნოტებითა და მონეტებით ჩანაცვლებას.

ქალაქის ფულის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფული ვარგისია მისი ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, 1-დან 5 წლამდე მერყეობს, გამომდინარე ნომინალის მოხმარების თავისებურებებიდან, მონეტები კი მიმოქცევაში გაცილებით დიდხანს ძლებს.

მიმოქცევაში გვხვდება 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის¹, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტები (და 2000 წელს გამოშვებული ქრისტეშობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღებთან დაკავშირებით მოჭრილი 10 ლარის ღირებულების საიუბილეო მონეტებიც), აგრეთვე, 5, 10, 20, 50, 100 და 200 ლარის ნომინალის ბანკნოტები. 5-ლარიან ბანკნოტზე გამოსახულია ივანე ჯავახიშვილი, 10-ლარიან ბანკნოტზე - აკაკი წერეთელი, 20-ლარიან ბანკნოტზე - ილია ჭავჭავაძე, 50 ლარიან ბანკნოტზე - თამარ მეფე, 100-ლარიან ბანკნოტზე - შოთა რუსთაველი, ხოლო 200-ლარიან ბანკნოტზე - ქაქუცა ჩოლოყაშვილი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2016 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში ჩაშვება. განახლებულ ბანკნოტებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი აქვს და მათი გაფორმების სტილი, პარამეტრები და დამცავი ნიშნები თანამედროვე, აპრობირებული და თანმიმდევრულია თითოეული ნომინალისათვის. ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი, მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. ამასთან, ლარის განახლებული ბანკნოტების მასალა ზრდის დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი მათ მდგრადობას.

¹ ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით, 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის დასრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბერი.

ფულის დამცავი ნიშნები

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ლარის განახლებული ბანკნოტების დამცავი ნიშნების შესახებ, რომელთა დახმარებითაც შევძლებთ ნამდვილი ფული ყალბისაგან განვასხვავოთ. გაყალბებული ბანკნოტის ამოცნობა შესაძლებელია სპეციალური ხელსაწყოებით, ასევე, შეუიარაღებელი თვალით: გამჭოლ შუქზე (მაგ. მზეზე) გახედვისას, სხვადასხვა კუთხით დახედვისას, ან შეხებისას.

გახედეთ ბანკნოტს გამჭოლ შუქზე და დაინახავთ:

- წყლის ნიშანს ნომინალის შესაბამისი პორტრეტის (მაგ., 50-ლარიანისთვის – თამარ მეფის), ნომინალის აღმნიშვნელი ციფრის (მაგ., 50) და ლარის სიმბოლოს (ლ) გამოსახულებით.

- ბანკნოტის უკანა მხარეს ვერტიკალურ დამცავ წყვეტილ ხაზს, რომელიც გამჭოლ შუქზე გახედვისას ერთიანდება და რომელზეც ბანკნოტის ნომინალის აღმნიშვნელი წარწერაა გამოსახული – მაგ. „50 ლარი“.

დააკვირდით ბანკნოტს სხვადასხვა კუთხით დახრისას და დაინახავთ:

- ბანკნოტის წინა მხარეს ჰოლოგრაფის გამოსახულების ცვალებად ეფექტს;

- ბანკნოტის წინა მხარეს ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვის (მაგ., 50) ფარულ გამოსახულებასა და ოპტიკურად ცვალებად სალებავს;

- ბანკნოტის უკანა მხარეს – ირისისებურ (გამჭვირვალე სალებავით შესრულებულ) ზოლსა და წყვეტილი დამცავი ძაფის ფერთა ცვალებადობას.

შეეხეთ ბანკნოტს და შეიგრძნობთ:

- ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულ გრაფიკულ დეტალებზე (მაგ., პორტრეტზე) დატანილ სალებავის ფენას, რომელიც რელიეფურია;

- ბანკნოტის წინა მხარეს, კიდევ დატანილ მოკლე ჰორიზონტალურ ხაზებს, რომლებიც რელიეფურია და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებს აძლევს ბანკნოტის ნომინალის აღქმის შესაძლებლობას.

განახლებული ლარისა და ფულის დამცავი ნიშნების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგიძლიათ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე იხილოთ: www.ganakhlebulilari.ge

გაცვლითი კურსის შესახებ

ვალუტის გაცვლითი კურსი - ეს არის ერთი ქვეყნის ვალუტის ღირებულება გამოსახული მეორე ქვეყნის ვალუტის ერთეულებში.

თითოეული ქვეყნის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს საკუთარ სავალუტო კურსის რეჟიმს და სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით ახორციელებს სავალუტო პოლიტიკას.

გაცვლითი კურსის რეჟიმი

შეიძლება იყოს ფიქსირებული, მცურავი, ან შერეული. ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი გულისხმობს, რომ ქვეყნის ვალუტის კურსი ფიქსირებული განაკვეთით მიიხმულია რომელიმე სხვა ვალუტის (ან ვალუტების) კურსზე, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის პირობებში, გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მეშვეობით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით.

ასევე, არსებობს შერეული ტიპის შუალედური რეჟიმები, სადაც გაცვლითი კურსი ხისტად ფიქსირებული არ არის თუმცა გარკვეულწილად მართულია.

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელსაც მოკლევადიან პერიოდში კურსის მერყეობა ახასიათებს, რის გამოც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, ერთი შეხედვით, შესაძლოა არასახარბიელოდ ჩანდეს, თუმცა, ამავდროულად კურსის მოქნილობა შოკების შემართებელ ფუნქციას ასრულებს და ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას. მაგალითად, ნეგატიური შოკის დროს, როდესაც საგარეო მოთხოვნა მცირდება, კურსის გაუფასურება ალადგენს ქართულ ექსპორტზე მოთხოვნას (რადგანაც ექსპორტი იაფდება) და ამცირებს იმპორტს (რადგანაც იმპორტი ძვირდება). ამ გზით, კურსის მოქნილობა ანეიტრალებს შოკის უარყოფით გავლენას ეკონომიკაზე. ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში კი საგარეო შოკების გადალახვა

უფრო დიდ სოციალურ დანაკარგებს განაპირობებს, როგორცაა მაგ. შემცირებული ხელფასები, ან უმუშევრობის გაზრდილი დონე.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი გაიანგარიშება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით და ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე.

ვალუტით ვაჭრობა ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში „ბლუმბერგი“. 2019 წლის იანვრის მდგომარეობით სხვადასხვა მიზნებისთვის ბლუმბერგის სისტემას საქართველოში 27 ორგანიზაცია იყენებს, რომელთაგან უცხოური ვალუტით ვაჭრობს 15 კომერციული ბანკი და 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში ამ ფინანსური ინსტიტუტების ვაჭრობის აქტიურობას მათი კლიენტების (ფიზიკური და იურიდიული პირების) მიერ გაცემული ყიდვა-გაყიდვის დავალებები განაპირობებს. აღნიშნულ სისტემაში დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც შემდგომი დღისთვის ლარის ოფიციალურ

გაცვლით კურსად ცხადდება და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება:
www.nbg.gov.ge

გაითვალისწინეთ, რომ გაცვლითი კურსის ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია თქვენს ფინანსურ მდგომარეობასა და გადაწყვეტილებებზე იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ფორმით გაქვთ შეხება უცხოურ ვალუტასთან. მაგალითად, გაქვთ შემოსავალი ან ვალდებულება უცხოური ვალუტით, ახდენთ საქონლის იმპორტს ან ექსპორტს, აპირებთ საზღვარგარეთ მოგზაურობას ან სწავლას.

მოდით, განვიხილოთ ასეთი სიტუაცია: თუ სესხი უცხოური ვალუტით გაქვთ აღებული, შემოსავალი კი ლარით გაქვთ განსაზღვრული, ეს ნიშნავს, რომ ყოველი შენატანისთვის მოგიწევთ დააკონვერტიროთ ლარი უცხოურ ვალუტაში (ანუ, იყიდოთ უცხოური ვალუტა ქართული ლარით) და დაფაროთ სესხის გადასახადი. თუ ლარი გაუფასურდება უცხოური ვალუტის მიმართ,


მაშინ, დოლარით შენატანების გასაკეთებლად, მეტი ლარის გადაცვლა მოგიწევთ.

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ **გრაფიკი #1** - აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის დინამიკა პერიოდისთვის 31/08/2017 – 29/12/2017.

განვიხილოთ მაგალითი ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით. დავუშვათ, 2017 წლის 24 სექტემბრიდან სარგებლობთ უცხოური ვალუტის სესხით, რომლის ყოველთვიური გადასახადი 1,000 აშშ დოლარს შეადგენს. პირველი გადახდის დღეს, 24 ოქტომბერს, 1 აშშ დოლარი 2.49 ლარს შეადგენდა; შესაბამისად, თქვენ მოგიწევდათ 2,490 ლარის გადახდა 1,000 აშშ დოლარის შესაძენად და შენატანის გასაკეთებლად.

უკვე მომდევნო თვეს, როდესაც ლარის მიმართ დოლარის გაცვლითი კურსი 2.71-მდე გაიზარდა, ლარში გამოხატული შენატანი 2,710 ლარს გაუტოლდა.

ამ მარტივ მაგალითში, სესხის პირველ და მეორე გადახდებს



შორის სხვაობამ 220 (2,710 - 2,490 = 220) შეადგინა, რაც საყურადღებო ცვლილებაა და მას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მსესხებლის ფინანსურ კეთილდღეობაზე. შემდეგი თვეების განმავლობაში, გაცვლითი კურსის ცვლილების გამო, ლარით გამოხატული დოლარის შენატანები ყოველდღიურად იცვლებოდა - ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა - რაც დამატებით ფინანსურ გაურკვევლობას ქმნიდა და მნიშვნელოვნად ართულებდა კონკრეტული ფინანსური გეგმების დასახვას.

ამრიგად, სესხით სარგებლობამდე, აუცილებელია, გაითვალისწინოთ გაცვლითი კურსის ცვლილების რისკი და შესაბამისად მიიღოთ გადაწყვეტილება, რათა თავიდან აირიდოთ ფინანსური პრობლემები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ შემთხვევაშიც, თუ ახდენთ საქონლის ექსპორტს ან იმპორტს, უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას აუცილებლად ექნება გავლენა თქვენს ბიუჯეტზე: თუ ლარი გამყარდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, მაშინ იმპორტი გაიადფდება, ექსპორტი კი გაძვირდება, ხოლო თუ ლარი გაუფასურდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, მაშინ იმპორტი გაძვირდება, ექსპორტი კი გაიადფდება.

შესაბამისად, ბიზნესის მფლობელებმა, ისევე, როგორც

ფიზიკურმა პირებმა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილება და მასთან დაკავშირებული რისკები საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვისას.

გაცვლითი კურსის ცვალებადობის საკითხი არანაკლებ საყურადღებოა საზღვარგარეთ მოგზაურობის ან სწავლის გაგრძელების დაგეგმვისას. ასეთ სიტუაციებში, მიზანშეწონილია უცხოური ვალუტით არსებული საპროგნოზო დანახარჯის ლარით წარმოდგენა - ანუ, იმის განსაზღვრა, თუ რა დაჭდება საზღვარგარეთ მოგზაურობა/სწავლა ლარით (მათ შორის, თვითმფრინავის ბილეთი, კვების და საცხოვრებელი ხარჯები ა.შ.). ამასთან, ინტერნეტით რაიმე ნივთის უცხოური ვალუტით შეძენამდე, კარგი იდეაა მასთან დაკავშირებული ხარჯების შედარება ანალოგიური საქონლის საქართველოში, ლარით ყიდვის ხარჯებთან.

კრიპტოვალუტების შესახებ

აღსანიშნავია ვირტუალური (კრიპტოგრაფიული) ვალუტები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოში ვირტუალური ვალუტა არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებასა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს. შესაბამისად, კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას, ყურადღებით უნდა აწონ-დაწონოთ შესაბამისი რისკები და

გაითვალისწინოთ, რომ:

- ვირტუალურ ვალუტებს ახასიათებს ფასების დიდი მერყეობა, რის გამოც მომხმარებლებმა შესაძლოა მოგება მიიღონ, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ მათ ფინანსურად იზარალონ. შესაბამისად, წინასწარ კარგად უნდა დაფიქრდეთ, რამდენად გიღირთ ამ ტიპის ნაკლებ პროგნოზირებად ვალუტაში თანხის დაბანდება;
- არ არსებობს კრიპტოვალუტების ცენტრალური მარეგულირებელი ორგანო, რის გამოც მომხმარებელთა პრობლემების დაფიქსირებისა და გადაჭრის პროცესი მნიშვნელოვნად რთულდება;
- გაცვლითი პლატფორმები და ციფრული საფულეები, რომელთა საშუალებითაც ხდება ვირტუალური ვალუტებით ვაჭრობის დიდი ნაწილი,

სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი და მათი სამართლებრივი სტატუსი ხშირად გაურკვეველია. ამასთან, ასეთი პლატფორმები და მათზე მომხმარებლის ფულით განხორციელებული ოპერაციები, კიბერშეტევის პოტენციური სამიზნეა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლებმა;

- ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა თუ ფსევდო-ანონიმურობა მიმზიდველს ხდის მას არაკანონიერი საქმიანობისთვის, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის, რაც დამატებითი რისკების წინაშე აყენებს მათ მომხმარებლებს. თუ მაინც აპირებთ თანხის კრიპტოვალუტაში დაბანდებას, აუცილებლად გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რისკები და ამ მიზნისთვის გაიღეთ მხოლოდ ის თანხა, რომლის დაკარგვაც თქვენ ფინანსურ კეთილდღეობას საფრთხეს არ შეუქმნის.

**მართეთ ფული
გონივრულად!**

